№ 137

შაბათი, 6 აგვისტო

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება: ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დაუბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 137

შაბათი, 6 აგვისტო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 9 აგვისტოს.

„ტფილისის სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო ამით აცხადებს, რომ განმეორებითი და მისაღები გამოცდა დაიწყება 26 მარიამობის თვიდან. თავისუფალი ადგილები გიმნაზიის მხოლოდ პირველ განყოფილებაში არის. სწავლა დაიწყება 5 ეკენისთვიდან.

(3—2)

ძველი წესი ახალ ქერქში

თუმცა ყოველ შეგნებულმა და აწინდელ პოლიტიკურ წეს-წყობილების მცოდნემ კარგად იცის, რომ ბიუროკრატია, რაც უნდა დიდ რეფორმების გზას დაადგეს ცხოვრების ვითარების ძალდატანებით, ხალხისთვის სასარგებლოს და საკეთილდღეოს ბევრს ვერას გამოიგონებს და ვერც გამოიმეტებს, მაგრამ მაინც დღეს რუსეთში ყველანი დიდის ცნობისმოყვარეობითა და ინტერესით ელიან იმ გეგმის გამოქვეყნებას, რომელიც ბულიგინის კომისიამ შეიმუშავა ხალხის წარმომადგენელთა მოსაწვევად და ამ წარმომადგენელთაგან „სახელმწიფო საბჭოს“ შესადგენად. ხსენებულ კომისიის ნამუშავარის გამოქვეყნების ვადა რამდენჯერმე იყო დანიშნული, მაგრამ ყოველთვის გადადებულ იქმნა და ნამდვილად არავინ იცის, თუ როდის გამოაცხადებენ. „ნოვოე ვრემიას“ უკანასკნელ ცნობით, ბულიგინის კომისიისაგან შემუშავებული და უმაღლესად დამტკიცებული წესი ხალხის წარმომადგენელთა მოწვევისა და განსაზღვრა მათი უფლებისა დღეს, 6 აგვისტოს, უნდა გამოცხადდეს ოფიციალურად.

თუმცა, ამგვარად, რუსეთში სიხელმწიფო საბჭოს დაწესების წეს-რიგი როგორადაც იგი შეიმუშავა ბიუროკრატიამ, არაა ჯერ დაწვრილებით ცნობილი, მაგრამ ბულიგინის კომისიასა და პროექტზე რუსულ პრესაში იმდენი რამ დაიწერა, რომ წინდაწინვე შეგვიძლია უტყუარი აზრი ვიქონიოთ იმ საბჭოზე, რომელსაც დღეს რუსეთს აძლევს ბიუროკრატია.

უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ უფლებით მოსილი და ხალხის ბატონად გამხდარი კრებული თავის ნებითა და სურვილით არ მოახდენს ისეთ ცვლილებას, რომ მან თავის თავი უარჰყოს და თავისი უფლებები სავსებით სხვას დაუთმოს. ამიტომ ბიუროკრატია, რომელიც დღემდის მთელი რუსეთის ბატონი იყო და არის და რომელსაც „მინდობილი“ ჰქონდა პოლიტიკურ რეფორმის გეგმის შემუშავება, ცხადია, ცვლილების ისეთ წეს-რიგს არ შეადგენდა, რომელიც მისთვის მავნებელი და საზარალო იყოს. უკანასკნელ დროის ამბებმა ისე ნათლად გამოამჟღავნა ბიუროკრატიულ რეჟიმის უვარგისობა, რომ მასზე ხელის დაფარება შეუძლებელი შეიქმნა, და ამიტომ ბიუროკრატიამ ხალხის მოძრაობის ძალდატანებით გადასწყვიტა შემოიღოს ისეთი ,,რეფორმა'', რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეებში შესახედავად ხალხის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო ნამდვილად კი ყოველგვარი უფლება და ძალა ისევ ძველებურად მას, ბიუროკრატიას, ჰქონდეს მინიჭებული.

ის „რეფორმა“, რომელიც დღეს ან, ყოველ შემთხვევაში, მოკლე დროში უნდა გამოცხადდეს, ამის უტყუარი დამამტკიცებელია. იმ კრებულს, რომელიც ბულიგინის კომისიის დადგენილების თანახმად უნდა მოიწვიონ და ხალხის წარმომადგენელთა კრებულად გამოაცხადონ, არ ახლავს თითქმის არც ერთი ისეთი ნიშანი, რომელიც მას მართლა ხალხის წარმომადგენლობის ხასიათს აძლევდეს. მაგალითად, არჩევნები უნდა იქმნეს არა პირდაპირი და ცენზის საფუძველზე დამყარებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხის დიდი ნაწილი, რომელიც ქონებას მოკლებულია, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს და „საბჭოში“ თავის წარმომადგენლებს ვერ გაგზავნის. თვითონ საბჭოს არ ექნება არავითარი გადამწყვეტი ხმა,—იგი მხოლოდ რჩევის მიმცემი იქნება მთავრობისათვის, რომელსაც შეუძლიან სრულიად უყურადღებოდ დასტოვოს ეს „რჩევა“ და საქმეები ისე აკეთოს, როგორც თვითონ მოესურვება. ხალხის „წარმომადგენლებს“ უფლება ექმნებათ ლაპარაკისა, ხოლო მოჰყვება თუ არა რაიმე შედეგი ამ ლაპარაკს, ამის გადაწყვეტა ისევ იმავე ბიუროკრატიის სურვილზე ჰკიდია, რომელიც ხალხის მხრით არავითარ ზედამხედველობას არ ემორჩილება...

რომ ამჟამად ზევიდან მოსალოდნელ „რეფორმას“ მართლა ასეთი სარჩული უდევს, რომ ბიუროკრატიის მიზანია, ამ „რეფორმის“ საშუალებით, ძველ ბიუროკრატიულ წყობილების ახალ ქერქში გახვევა,—ამას ნათლად გვიმტკიცებს შემდეგი ორი გარემოებაც, რომელთაგანაც ერთი კერძოდ ჩვენ შეგვეხება, ვითარცა არა-რუს ეროვნებას, და ამიტომ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია.

შიდა-რუსეთში,—გადმოგვცა ამ რამდენისამე დღის წინად ტელეგრაფმა,—თითოეულ 250 ათას მცხოვრებზე ერთი წარმომადგენელი უნდა იქნეს არჩეული, ხოლო განაპირა ქვეყნებში 350 ათას მცხოვრებს აქვთ ერთი დეპუტატის არჩევის უფლება მინიჭებული. ამგვარად გამოდის, რომ, მაგალითად, კავკასიაში ან პოლონეთში 350 ათას კაცს იმდენი უფლება უნდა ექმნეს, რამდენიც 250 ათას კაცს შიდა რუსეთში. დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატია განსაკუთრებულ პირობებში აყენებდა არა რუს ეროვნებათა არსებობას,—ამ ეროვნებათ იმ უფლებებსაც არ აძლევდა, რომლითაც შიდა-რუსეთში ყოველი რუსი სარგებლობდა. არა-რუს ეროვნებათ ბიუროკრატია სთვლიდა „პარიებად“, რუსებთან შედარებით უფრო მდარე ღირსების „ქვეშევრდომებად“ და ამიტომ უფლებებსაც უკვეცდა და ხალხოსნურ არსებობას უძნელებდა. ეგევე ტენდენცია სჩანს ახლაც აღნიშნულ დადგენილებაში, რომელიც თითო დეპუტატის ამომრჩეველთა რაოდენობას სხვადასხვანაირად განსაზღვრავს შიდა რუსეთისა და განაპირა ქვეყნებისათვის...

„რეფორმის“ ბიუროკრატიულ ხასიათის მაჩვენებელია ისიც, რომ მის განხორციელებას წინ არ მიუძღვის სიტყვისა და წერის თავისუფლება, რომელიც აუცილებელი პირობაა ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად, ვინაიდან შეგნებულად არჩევნების მოხდენა შეუძლებელია იქ, სადაც კამათი, თავისუფლად წერა და ლაპარაკი აკრძალულია.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც ამ ბიუროკრატიულ რეფორმასაც თავისი მნიშვნელობა ექნება. თუ არჩევნების კონსერვატიულმა საფუძველმა ნამეტანი რეაქციონური შედგენილობა არ მისცა ,,საბჭოს'', შესაძლებელია ეს პირველი კრება გაღვივდეს შინაარსით და გადალახოს ის ფარგალი, რომელსაც მას უდებს ბიუროკრატია...

აზრის თავისუფლება

ვის არ გაუგონია ამჟამად, რომ საზოგადოების თანდათან განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროა, სხვათა შორის, აზრის თავისუფლებაც?..

ვინ არ იცის, რომ ამ თავისუფლებას ითხოვს ამჟამად ყოველი გამოფხიზლებული ადამიანი, რომ არ შეიძლება წინმსვლელობა და პროგესი იქ, სადაც ფეხს იკიდებს გონებრივი მონობა.

ბიუროკრატია, რომელიც მუდამ ძალაზე ამყარებდა თავის გაბატონებას,—მასთან ერთად მუდამჟამ სდევნიდა და სპობდა აზრის თავისუფლებას, რომელიც მავნებელი ეგონა.

ყოველი განსხვავებული, ბიუროკრატიისათვის არა-სასიამოვნო შეხედულება ბოროტ-მოქმედებად ითვლებოდა, დამოუკიდებელ აზრს მქონეს საზოგადოების მტრად ისახავდნენ და ლაპარაკის საშუალებასაც უსპობდნენ.

ბიუროკრატია აცხადებდა, ,,თქვენი'' სამწერლო მოღვაწეობის კონტროლი მე მომანდვეთო“. ამ კონტროლს ეწოდა—ცენზურა.

მაგრამ დრო გადიოდა და ხალხმა შეიგნო, რომ „კონტროლი“ სპობდა აზრის თავისუფლებას და შეუძლებლად ხდიდა ხალხის თანდათან განვითარებას. ამიტომ ყველამ მოითხოვა—აზრის თავისუფლება.

მაგრამ ჯერ კიდევ არ გაუნთავისუფლებია ადამიანის გონებას თავისი თავი ბიუროკრატიის ბატონობისგან, და მას უკვე ახალი ბატონი გაუჩნდა, რომელიც ბიუროკრატიის სიტყვებს იმეორებს და ბიუროკრატიასავით სცდილობს მოსპოს ყველასთვის სანატრელი აზრის თავისუფლება!

ყველას ახსოვს, რა ცხარე პოლემიკა გაუმართა „მოგზაურმა“ ი. გომართელს, რომელმაც თავისი აზრი გამოსთქვა გლეხთა მოძრაობის შესახებ და, შინაურ მტერს გარდა, გლეხს გარეშე მტერზედაც მიუთითა,—ორივე მტერს უნდა ებრძოლოს უთუოდ.

„მოგზაურმა“ ეს აზრი ხალხისათვის მავნებელ აზრად გამოაცხადა, ბ-ნ გომართელის საქციელი ბოროტ-მოქმედებად აღიარა, ბ-ნ გომართელს მოღალატე უწოდა... და ახლა, როდესაც აღმოჩნდა, რომ, ბ-ნი გომართელი არ იცვლის მიმართულებას, იგივე მოგზაური ურჩევს ბ ნ გომართელს მოლიპულ გზაზე სიარულს ერიდე და შენი სამწერლო მოღვაწეობის **კონტროლი** შენ ამხანაგებს მიანდეო.

რას ნიშნავს აქ ეს სიტყვა—კონტროლი?—ნიშნავს ცენზურას!,—„მოგზაურის“ სიტყვით, ყოველი მისი მომხრე მწერალი ვალდებულია თავისი ნაწარმოები ისე არ გამოაქვეყნოს, თუ ჯერ თავის ამხანაგებს, ან თვით „მოგზაურის“ რედაქციას არ გადასცა „საკონტროლოდ“ და საცენზუროდ, და დაბეჭდოს მხოლოდ მაშინ, თუ რედაქციამ ამ წერილში არაფერი ,,საწინააღმდეგო არ ჰპოვა''.

ეს არის აზრისა თავისუფლების მოსპობა, იგივე ცენზურა!

თავისუფლების მოტფიალენი ხშირად ძალმომრეობას იჩენენ თვითონ და არ გრძნობენ, რომ ამით საერთო პარტივისცემას და ნდობას ჰკარგავენ.

აქ კი ,,აზრის და პრესის თავისუფლების'' მოტრფიალენი თვითონვე ამწესებენ რაღაცა ,,კონტროლს'',—იმავე ,,ცენზურას''!

უცხო.

აგრარული საკითხი

ჩვენს მწერლობაში ხშირად შევხვედრივარ „დასელებთან“ საპოლემიკო წერილებს ეროვნულ საგნებზე. ხოლო იმ აზრის შესახებ, რომელიც აქვს მათ პარტიას შემუშავებული აგრარულ საკითხზე, თითქმის არაფერი ყოფილა დაწერილი. და ეს საგანი კი საკმაოდ საინტერესოა და ამიტომ გვინდა მის შესახებ მკითხველს ცოტა რამ გადავსცეთ.

ის მოძღვრება, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტია აღიარებს, სისწორით აღნიშნავს, რომ მრეწველობის განვითარებას თან მოსდევს წვრილ მწარმოებელთა პროლეტარიზაცია. წვრილ მწარმოებელს არ შეუძლიან მეტოქობა გაუწიოს კაპიტალისტს, რადგანაც ამ უკანასკნელის საქონელი, მანქანებისა და საზოგადოდ გაუმჯობესებულ საწარმოო ტეხნიკის წყალობით, მაღალ ღირსებისაც არის და უფრო იაფიც; იგი ნელნელა ჰკარგავს თავისს საქმეს და ბოლოს მიდის ქარხანაში უბრალო მუშად. იზრდება ამნაირად პროლეტარიატის რიცხვი; მწვავდება კლასობრივი ბრძოლა მუშა-ხალხსა და ბურჟუაზიას შორის.

ეს კანონი მრეწველობის განვითარებისა ს.-დემოკრატებს სოფლის მეურნეობაშიაც გადააქვთ. ისინი ფიქრობენ, რომ აქაც ისეთივე პროცესი ხდება, როგორც მრეწველობაში; რომ აქაც წვრილი მწარმოებელი გლეხკაცი ვერ უწევს კონკურენციას დიდ მესაკუთრეს; იგი ჰკარგავს თავის მამულს და ხდება სოფლის ბოგანო მუშად იმ მიწაზე, რომლის მესაკუთრეც თვითონვე იყო. ამნაირად სოფელშიაც ჰხდება პროლეტარიზაცია; აქაც ვითარდება ორი კლასი, ბურჟუაზია და პროლეტარიატი, და ამ მოწინააღმდეგე კლასთა შორის მწვავდება ბრძოლა. რადგანაც გლეხკაცი, როგორც წვრილი მესაკუთრე, კოლექტივისტურ აზრებს და იდეალებს ვერ შეითვისებს, ამიტომ, რაც უფრო მალე მოხდება ეს პროლეტარიზაცია, მით უკეთესია. ს.-დემოკრატთა პარტიას სურს ხელი შეუწყოს კაპიტალისტურ პროცესის თავისუფალ განვითარებას,—„ჩააყენოს სოფელი ისეთ გარემოებაში, რომელიც ახასიათებს ბურჟუაზიულ წყობილებას“.

ეს აზრი,—რომ წვრილი გლეხკაცობა, რომელიც ცხოვრობს მხოლოდ თავის შრომით და არა სხვის ექსპლოატაციით, გარდა ამისა აცხოვრებს აუარებელ მუქთახორა ხალხს, რომ ეს გლეხკაცობა ეკუთვნის ბურჟუაზიულ კლასს და ვერ შეიგნებს კოლექტივისტურ მოძღვრებას—ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია. პროლეტარობა და მრეწველობაში მუშაობა არ არის ერთად ერთი და აუცილებელი პირობა კოლექტივისტურ იდეების შესაგნებად.

პროლეტარიატი ჰქმნის ერთ ნაწილს თავის ქვეყნის სიმდიდრისას, მაგრამ ამ სიმდიდრისაგან მას არაფერი არა რჩება. ეს სიმდიდრე მიაქვს კაპიტალისტს და მის მაგიერ მუშას აძლევს ცოტაოდენს ჯამაგირს, რომ იგი შიმშილით არ მოკვდეს, კიდევ იმუშაოს და ჯიბე გაუვსოს თავის გამყვლეფს. რასაკვირველია, როცა პროლეტარიატი ამ უსამართლობას შეიგნებს, ასეთ წესწყობილების დასამხობად ბრძოლასაც დაიწყებს. იგი იბრძოლებს ისეთ მომავლისათვის, როდესაც შეუძლებელი იქნება ხალხის ერთმა ნაწილმა იმუშაოს, შექმნას სიმდიდრე და მეორემ კი, რომელსაც მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია, პირველის ნამუშევარი დაისაკუთროს.

გლეხკაცი ჰქმნის სიმდიდრის მეორე ნაწილს, მაგრამ ამ სიმდიდრეს მას ისევე ართმევენ, როგორც პროლეტარიატს. გლეხკაცს შიმშილით კუჭი უხმება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის უკანასკნელ პურს ჰყიდის, რომ ბაჟები გადაიხადოს. მაგრამ გლეხკაცს მარტო ბაჟი არ აწუხებს. სხვილი მემამულე, სოფლის წურბელა—მევახშეები და კიდევ ბევრი სხვა სისხლსა სწოვენ ღარიბ-ღატაკებს. წვრილი გლეხკაცობა მხოლოდ თავის ჯაფით ცხოვრობს; მისივე შრომის ნაყოფით იკვებებიან მუქთა-ხორები და ექსპლოატატორები. ამიტომ, როდესაც გლეხ-კაცი თავის მდგომარეობას შეიგნებს, იგი იბრძოლებს თანამედროვე წყობილების შესაცვლელად. და, პროლეტარიატთან ერთად, იდეალად ისეთს წყობილებას დაისახავს, სადაც შეუძლებელი იქნება ექსპლუატაცია.

ს.-დემოკრატების პესსიმისტურ შეხედულებას გლეხკაცებზე თვით ცხოვრება არღვევს. გერმანიაში სოციალ-დემოკრატთა წლიურ კრებაზე მოლკენბურმა სთქვა: „გლეხებს, რომლებიც ისეთივე ინტელიგენტები არიან, როგორც მოქალაქენი, მაგრამ რომლებსაც სამოქმედოდ თავისი საკუთარი წრე აქვთ შემოხაზული, აქვთ საკუთარი ენა ამ აზრების გამოსათქმელად, ადვილად შეიძლება შევაგნებინოთ კოლლექტივისტური პროგრამა, ჩვენს ნამდვილ მიზნების დაუზრდილავად.“ პარტიის ცნობილმა ბელადმა ლიბკნეხტმა თავისი სიტყვა ასე დააბოლოვა: „ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გლეხკაცთა პსიხოლოგია ანტიკოლლექტივისტურია, საერთო, უმნიშვნელო ფრაზებია, რომლის უსაფუძვლობა და სიყალბე ადვილად შეიძლება დამტკიცდეს პრაქტიკულ ცხოვრებიდან ამოღებულ მაგალითებით.“

ამნაირად არც თეორია, არც ცხოვრების მაგალითები არ ამართლებენ იმ აზრს, რომ გლეხკაცობის „ინდივიდუალურ თავის ქალას კოლლექტივისტური აზრები ვერ გააპობენო“. რასაკვირველია, მნიშვნელობას მოკლებული არ არის ის გარემოება, რომ წვრილ გლეხკაცობას საკუთრება აქვს. ამ და კიდევ სხვა მიზეზების წყალობით გლეხკაცობა უფრო გვიან შეიგნებს კოლექტივიზმს, ვიდრე პროლეტარიატი. პროლეტარიატი ყოველთვის მოწინავე რაზმად იქნება და გლეხკაცობა მას ზურგს გაუმაგრებს. რუსეთში პროლეტარიატის რიცხვი $2^1/_2$—3 მილიონამდე არის, ხოლო გლეხკაცებისა—87 მილიონი. ამიტომ, რასაკვირველია, გლეხკაცობის და პროლეტარიატის ინტერესები რომ სხვადასხვა იყოს, როგორც ს.-დემოკრატებს ჰგონიათ, მაშინ ეს აუარებელი წვრილი მესაკუთრე სოფლისა მცირე რიცხოვან ქალაქის მუშას უთუოდ შთანთქავდა. გურვიჩი თავის წიგნში—„სოფლის ეკონომიური მდგომარეობა“—ამბობს, რომ სოფლის პროლეტარიატის რიცხვი $2^0/_0$—$8^0/_0$ არის. ეს რიცხვი პროპორციონალურად რომ გავყოთ, მაშინ თითო ორას კომლიან სოფელში იქნება საშუალო რიცხვით სამი პროლეტარის ოჯახი. აქედან ავტორს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ფუჭია იმედი იმის შესახებ, რომ სოფელში განვითარდება პროლეტარულ კლასობრივი აზრთამსვლელობა.

ასე მცირერიცხოვანია სოფლის პროლეტარიატი, მაგრამ ეს გარემოება ს.-დემოკრატებს არ აწუხებს. იმათ ჰგონიათ, რომ მომავალში მოხდება წვრილ მესაკუთრეთა პროლეტარიზაცია და ამნაირად სოფლის პროლეტარიატის რიცხვი გამრავლდება. მაგრამ ეს აზრი არ არის დაკვირვებასა და ცხოვრების განვითარების ფაქტებზე დამყარებული. ს.-დემოკრატებს იმიტომ სჯერათ ეს პროლეტარიზაცია უთუოდ მოხდებაო, რომ დარწმუნებულები არიან,—მრეწველობასა და სოფლის მეურეობას შორის ანალოგია არსებობსო. ეს აზრი კი მათ მეცნიერულად არა აქვთ დამტკიცებული. ისეთი მცოდნე პირნი, როგორიც, მაგალითად, არის ცნობილი დავიდი და სხვანი, ნათლად ამტკიცებენ, რომ აქ სრული მსგავსება არ არის.

მრეწველობაში მსხვილი წარმოება იმარჯვებს წვრილზე, რადგან კაპიტალისტი აწარმოებს მანქანებით და ამზადებს საქონელს ბლომად და უფრო იაფად, ვიდრე წვრილი მწარმოებელი. საეკონომიო ბრძოლაში აქ უმთავრესი მნიშვნელობა ტეხნიკას აქვს. ამ მნიშვნელობას ტეხნიკა სოფლის მეურნეობაში ჰკარგავს, რადგანაც აქ მანქანებს ნაწარმოების გაბევრება არ შეუძლიან. ქარხნებში მანქანა თითქმის მთელი წელიწადი მუშაობს და ამიტომ მისი ხარჯის ანაზღაურება უფრო მალე ხანშია შესაძლებელი. ამიტომ არის, რომ პროდუქტი იმდენად უფრო იაფდება, რამდენადაც უფრო ბევრს მანქანას იძენს კაპიტალისტი. სოფელში სწორედ წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ. აქ მანქანა წელიწადში მხოლოდ რამდენსამე კვირას მოქმედობს; დანარჩენ დროს, მაგალითად, ზამთარში, იგი უქმად დევს. ამიტომ მანქანის პატრონმა უნდა გააძვიროს ნაწარმოები, თუ უნდა, რომ არ იზარალოს. მეურნეობაში სხვილი მესაკუთრე, რაც უფრო გააუმჯობესებს ტეხნიკას, მით უფრო, იძულებული იქნება, ძვირად გაჰყიდოს პროდუქტი; წვრილი მესაკუთრე კი ისევ იაფად გაჰყიდის.

როგორც ყველამ იცის, რაც უფრო ინტენსივურად ეწევიან მეურნეობას, მით უფრო ბევრს ნაწარმოებს აძლევს მიწა მწარმოებელს. წვრილ მესაკუთრის მიწა ყოველთვის უფრო ინტენსივურად არის შემუშავებული, ვიდრე სხვილი მესაკუთრესი. უკანასკნელს არ შეუძლიან ინტენსივურად შეიმუშაოს თავისი უზარ-მაზარი მამული. საკუთრების სიდიდეს და მის ინტენსიფიკაციას შორის მჭიდრო კავშირი არის. ინტენსიფიკაციის გაძლიერება ჰბადავს საკუთრების დაპატარავების ტენდენციას. ამიტომ გლეხ-კაცის ერთი ქცევა ყოველთვის მეტს პროდუქტს იძლევა, ვიდრე ერთი ქცევა დიდ მესაკუთრესი. ეს დავიდმა გამოიკვლია.

ყურადღების ღირსია, რომ გერმანელი სოციალ-დემოკრატი კაუცკი ისეთ ცალმხრივ შეხედულობისა არ არის, როგორც რუსის მარქსისტები. კაუცკი ამტკიცებს, რომ მსხვილ წარმოებას სოფლის მეურნეობაშიაც დიდი უპირატესობა აქვს წვრილ წარმოების წინაშე; მაგრამ ეს გარემოება, კაუცკის აზრით, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის სრული ანალოგიაა, არც იმას, რომ მსხვილ წარმოებას ძალუძს მოსპოს წვრილი წარმოება.

მრეწველობაში,—ამბობს კაუცკი,—დიდი კაპიტალი და დიდი წარმოება შესდგება ხოლმე წვრილ კაპიტალების მოუგროვებლად და დამოუკიდებელ წვრილ წარმოებათა გაუქრობლად. წვრილ წარმოების გაქრობა არის მხოლოდ შედეგი და არა მიზეზი მსხვილ წარმოების დაარსებისა. მაგალითად, იმისთვის, რომ ჩექმების ქარხანა დაარსდეს, სრულებით საჭირო არ არის მოისპოს წვრილ-მწარმოებელ მეჩექმეთა ხელობა. ჯერ ეს ქარხანა უნდა დაარსდეს და მხოლოდ მერე დაუწყებს იგი ბრძოლას და დაამარცხებს წვრილ მწარმოებლებს.

სოფლის მეურნეობაში კი,—განაგრძობს კაუცკი,—მსხვილი წარმოება ისე ვერ დაარსდება, თუ პატარ-პატარა მამულები ერთად არ იქმნა თავმოყრილი, ე. ი. თუ ცენტრალიზაცია არ მოხდა მიწად-მფლობელობაში. ჯერ წვრილი მეურნეობა უნდა დაიღუპოს და მხოლოდ მერე დაარსდება მსხვილი. ამიტომ, კაუცკის აზრით, იქ, სადაც წვრილი მეურნეობა არის გამეფებული, მსხვილი მეურნეობა ძალიან ძნელად განვითარდება, თუნდაც წვრილი მეურნეობა საცოდავ მდგომარეობაში იყოს ჩაყენებული. როდესაც სოფლის მეურნეობაში მსხვილი წარმოება იწყებს გაფართოვებას, იგი მალე მიაღწევს ხოლმე საზღვარს, რის შემდეგაც იწყება კონცენტრაციის წინააღმდეგი პროცესი, ე. ი. დანაწილება. მრეწველობაში ასეთი საზღვარი არ არსებობს. კაუცკის აზრით, ეს სრულებით არ ეწინააღმდეგება მარქსის მოძღვრებას. „რეინის გაზეთში“ მარქსი ამბობს, რომ საფრანგეთში თუ დაწყებულია მიწის კონცენტრაციის ხანა, ინგლისში, სამაგიეროდ, ამის წინააღმდეგ პროცესს ვხედავთ: იქ იწყება მსხვილი მიწად-მფლობელობის დანაწილება და ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ მეურნეობა ყოველთვის ამნაირ რყევაში იქნება, ესე იგი კონცენტრაციას ყოველთვის თან მოჰყვება დანაწილებაო“.

კაუცკი თავის წიგნის ბოლოში გამოსთქვამს იმ აზრს, რომ შეუძლებელია წვრილი მიწადმფლობელობა მოისპოს ან ჩაიყლაპოს სხვილი საკუთრებისაგან. „ჩვენ ვხედავთ,—სწერს იგი,—რომ იქ, სადაც კონცენტრაცია უმაღლეს წერტილამდის მივიდა, იწყება დანაწილების პროცესი“. იქ, სადაც პროცესი ამ წერტილამდის მივიდა, წვრილი და მსხვილი საკუთრება ერთმანეთის არსებობას არ ხდის შეუძლებლად,—პირიქით, ერთი მეორის არსებობის პირობას შეადგენსო.

როგორც მკითხველი ხედავს, სოფლის მეურნეობა არ ემორჩილება იმ კანონებს, რომელნიც მრეწველობაში მოქმედებენ. აქ ისე არა ხდება ბრძოლა დიდ და პატარა მწარმოებელთა შორის, როგორც ქალაქში. სოფლის მეურნეობაში წვრილი მესაკუთრე გლეხკაცს შეუძლიან კონკურენციას გაუძლოს, ის, კონკურენციის გამო, თავის მიწას არ ჰკარგავს და ბოგანო მუშად არა ხდება. ამ თეორეტიულ მოსაზრებას ცხოვრების მაგალითებიც მხარს უჭერს. მე განგებ მარქსისტების სტატისტიკით ვისარგებლებ. კაუცკი შემდეგ ცნობებს გვაძლევს:

გერმანიაში 1882 წელს, ორ ჰექტარზე ნაკლებ წვრილ მამულების რიცხვი იყო 3,061,831, ხოლო ცამეტი წლის შემდეგ (1895 წელს) იყო 3,236,367, ესე იგი ამ დროის განმავლობაში წვრილმა საკუთრებამ 174-536-ით იმატა. ამნაირად გერმანიაში 13 წლის განმავლობაში მსხვილ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეოხებით არავითარი პროლეტარიზაცია არ მომხდარა.

ხუთ ჰექტარზე ნაკლებ მამულების რიცხვი იყო 981,407, ხოლო ცამეტი წლის შემდეგ—1,016,318; ესე იგი 34,911-ით მეტი, ვიდრე წინად. 20 ჰექტარზე ნაკლები საშუალო მამულების რიცხვი იყო 926,605, ხოლო 13 წლის შემდეგ—998,804, ესე იგი 72,199-ით მეტი, ვიდრე წინად. ამნაირად, 13 წლის განმავლობაში არც წვრილ და საშუალო მწარმოებელთა რიცხვს სოფლის მეურნეობაში არა თუ არა დაჰკლებია-რა, არამედ მოჰმატებია კიდეც.

საფრანგეთში 1882 წელს ძალიან პატარა მამულების (ერთ ჰექტარზე ნაკლები) რიცხვი იყო 2,167,667, ხოლო 1892 წელს—2,235,405, ე. ი. 67,738-ით მეტი, ვიდრე 10 წლის წინად. წვრილ მამულების რიცხვი ამ ათის წლის განმავლობაში შემცირდა 36,619-ით, საშუალო მამულების რიცხვმა (10 ჰექტარზე ნაკლები) იმატა 19,147-ით. სხვილ მამულების რიცხმა (40 ჰექტარზე ნაკლები) იკლო 16,104-ით, ხოლო ორმოც ჰექტარზე მეტის სივრცის მამულების რიცხვს დააკლდა 3,417.

როგორც მკითხველი ხედავს, საფრანგეთშიაც დამარცხდა მსხვილი საკუთრება და გამარჯვებული დარჩა საშუალო და მეტის-მეტად პატარა საკუთრება.

სოფლის წვრილ მეურნეთა პროლეტარიზაციის აუცილებლობის მქადაგებელნი ხშირად ამბობენ, რომ ინგლისში სოფლის წვრილ მესაკუთრეების პროლეტარიზაცია ჩქარის ნაბიჯით წინ მიდის და ვითარდებაო, მაგრამ ნამდვილად ესეც არ არის ასე.

1885 წლიდან 1895 წლამდე წვრილ მამულების რიცხვმა (ხუთ აკრზე ნაკლები) ინგლისში 17,768-ით იკლო. საშუალო საკუთრებამ (20 აკრზე ნაკლები) იმატა 1,012-ით, 50 აკრზე ნაკლებმა იმატა 1,514-თ, 100 აკრზე ნაკლებმა იმატა 1910-ით, სხვილმა საკუთრებამ (300 აკრზე ნაკლები) იმატა 1,672-ით. რაც შეეხება ძალიან დიდ მამულების რიცხვს (300—500 აკრამდის), ამან იკლო 307-ით, 500 აკრზე მეტის სივრცის მამულებს 270 დააკლდა.

როგორც ხედავთ, ინგლისშიაც კი, სადაც ყველაზე უმეტესად არის განვითარებული კაპიტალიზმი, არ მოხდა მიწის კონცენტრაცია. ინგლისში დამარცხდა, როგორც წვრილი, ისე დიდი საკუთრება, გამარჯვებული დარჩა საშუალო საკუთრება.

ამგვარად, ეჭვს გარეშეა, რომ სოფელში არ ხდება კონცენტრაცია და ამ კონცენტრაციით გამოწვეული პროლეტარიზაცია. წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი მატულობს და არა კლებულობს. მომავალშიაც უფლება არა გვაქვს მოველოდეთ ამ პროლეტარიზაციას, რადგან, როგორც ზევით ვსთქვით, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობის შორის არ არის სრული ანალოგია. ამიტომ ს.-დემოკრატების აგრარული პროგრამა ქვიშაზე აშენებულ სასახლეს ჰგავს, რადგანაც მათი დედა-აზრი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობაშიაც ჰხდება კონცენტრაცია და კონცენტრაციით შექმნილი პროლეტარიზაცია, საფუძველს მოკლებულია.

როდესაც პარტია დარწმუნებულია, რომ 1) წვრილი გლეხკაცობა კოლექტივიზმის წინააღმდეგია, 2) ამ წვრილ გლეხკაცობის რიცხვი 30-ჯერ მეტია, ვიდრე პროლეტარიატისა, 3) ეს წვრილი გლეხკაცობა პროლეტარიატად არ იქცევა,—მაშინ შემდეგი გზაა დარჩენილი, პარტიამ ან უნდა აღიაროს, რომ კოლექტივიზმი ქვეყანაზე არ დამყარდება, ან არა და, თუ კოლექტივისტური იდეალები მისთვის ძვირფასია, უნდა იწამოს, რომ შესაძლებელია, სოციალურ რეფორმების გზით ნელ-ნელა მივუახლოვდეთ კოლექტიურ წესწყობილებას.

ასეთი დასკვნა აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პესსიმისტურად ვუცქერით წვრილ მესაკუთრე გლეხკაცობას. მაგრამ გლეხკაცობაზე ამგვარ პესსიმისტურ შეხედულებას არავითარი გამამართლებელი საბუთი არა აქვს. გლეხკაცთა ფსიხოლოგია არ არის აუცილებლად ანტიკოლექტიევისტური და ამიტომ გლეხკაცობას შეუძლია შეიგნოს როგორც მიწის სოციალიზაციის საჭიროება, ისე საზოგადოდ სოციალიზმის სარგებლობა, და იბრძოლოს კიდეც ამ იდეალის განსახორციელებლად.

შალვა ნათაძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

4 აგვისტო.

პეტერბურგი, 4 აგვისტო. უმაღლესი ბრძანება უმართებულესს სენატისადმი. „აღვადგინეთ-რა კავკასიაში ჩვენი ნამესტნიკობა, ჩვენი ნდობით აღჭურვილს პირს მივანდეთ კავკასიის მართვა-გამგეობა და მზრუნველობა, რათა ამ საუცხოვო განაპირა კუთხეში საზოგადოებრივ ცხოვრების მშვიდობიანი მიმდინარეობა აღდგენილ იქმნას. ამჟამად გაეცნო-რა კავკასიის ზოგიერთ პირობებს, ნამესტნიკმა წარმოგვიდგინა ჩვენ თავისი მოსაზრებანი ზოგიერთ დადგენილებების შეცვლის შესახებ, რომელიც შეეხება სომხებს და უშლის ხელს მათ მშვიდობიან განვითარებას. ვსცნოთ რა საჭიროდ, დავამტკიცოთ ჩვენი ნამესტნიკის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებანი, ჩვენ ვაძლევთ შეძლებას სომეხ-გრიგორიანის სამღვდელოებას ხალხის გასანათლებლად ფართო მოქმედებისას. ქვემოდ მოყვანილ საფუძვლის ძალით, ვბრძანებთ-რა, დაუბრუნდეთ სომხებს ჩამორთმეული საეკლესიო ქონება, ჩვენ ნებას ვაძლევთ ნამესტნიკს მისდამი რწმუნებულს მხარეში დროებით დაამყაროს მის მიერ შემუშავებული წესები საეკლესიო მამულებში მრევლის მონაწილეობის შესახებ, ვინაიდან არსებული კანონმდებლობა გაუგებრობის მიზეზად არ გახდეს, ნამესტნიკმა მხედველობაში უნდა მიიღოს მთავრობის დამოკიდებულება სომხების საეკლესიო დებულებასთან. ამის მიხედვით ვბრძანებთ: 1) 1903 წლის 12 ივნისის უმაღლესი ბრძანება, რომლითაც სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიას მამულებისა, მონასტრებისა, ეკლესიისა, სასულიერო დაწესებულებათა და სასულიერო სასწავლებლების ქონება ხაზინას გარდაეცა—შეიცვალოს. ამ მამულების დაბრუნება მოხდეს კავკასიის ნამესტნიკისა, მინაგან საქმეთა მინისტრისა და სამიწად-მოქმედო და სამიწად-მფლობელო მთავარ-გამგის შეთანხმებით. 2) სომეხ-გრიგორიანთა სამღვდელოების განცხადებანი და მუამდგომლობანი ამ მამულებისა და მის შემოსავლის გარდაცემის დროს საბოლოოდ კავკასიის ნამესტნიკმა გარდასწყვიტოს. 3) მიენდოს ნამესტნიკს სომხურ საეკლესიო სკოლების შესახებ ახალ დადგენილებათა შემუშავებამდე, დაარსოს ეკლესიებსა და მონასტრებთან საეკლესიო-სამრევლო სკოლები, თანახმად 1874 წლის 19 ივლისის უმაღლესად დამტკიცებულ წესებისა. 4) მიენდოს ნამესტნიკს: ა) წარადგინოს, სადაც ჯერ არს, თავისი მოსაზრებანი სომხურ საეკლესიო სკოლების ახალ დებულებათა გამოცემის შესახებ. ბ) აგრეთვე წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი, სომხის ეკლესიების კუთვნილ მამულებზე დასახლებულ გლეხთა მიწად-მფლობელობის შესახებ. ეს მოსაზრებანი წარმოდგენილი უნდა იქმნას ჩვენდა დასამტკიცებლად კანონიერის წესით. უმართებულესს სენატს ევალება ეს განკარგულება სისრულეში მოიყვანოს. **„ნიკოლოოზ“**. პეტერგოფი, 1 აგვისტო 1905 წელს.

პეტერბურგი, 4 აგვისტო. უმაღლესის ბრძანებით სამსახურიდან დათხოვნილ იქმნენ შავის ზღვის ფლოტის უფროსი ფლაგმანი, ვიცე ადმირალი კრიგერი, უნცროსი ფლაგმანი კონტრ-ადმირალი ვიშნევეცკი, ჯავშნოსან „გიორგი პობედონოსეც“-ის უფროსი, პირველი რანგის კაპიტანი გუზევიჩი, კონტრ-ადმირალის ხარისხით, გემ „პრუტ“-ის უფროსი, მეორე რანგის კაპიტანი ბარანოვსკი, პირველი რანგის კაპიტნის ხარისხით, ორთავენი დათხოვნილ-იქმნენ მუნდირითა და პენსიით.

პეტერბურგი, 4 აგვისტო. ნიჟეგოროდისა, ყაზანის, სიმბირსკისა, სარატოვისა, უფის გუბერნიები და ურალის ოლქი ხოლერის მხრით საშიშარნი აღარ არიან.

პეტერბურგი. ოფიციალური ბრძანება. ალექსანდრე III ნავთსადგურის უფროსის ბრძანების აუსრულებლობის გამო თავადი კეკუატოვი ორის კვირით დაპატიმრებულ იქმნეს. გაფრთხილებ მეორე რანგის კაპიტანს, თავად კეკუატოვს, რომ, თუ ამნაირი საქციელი კიდევ გაიმეორა, სამსახურიდან დავითხოვ. ვფიქრობ, რომ ფლოტში მოსამსახურე ყოველი აფიცერი, დღევანდელ მძიმე მდგომარეობის გამო ვალდებულია დაუღალავად იმუშაოს წესიერების აღსადგენად და მოვალეობის აღსრულებას თავი არ მოარიდოს. ამასთანავე ჩემს მოვალეობად ვთვლი, მოვაგონო კონტრ-ადმირალ ირეცკის, რომ მას ხელში ჰყავს შეიარაღებული ძალა, რომლის საშუალებითაც ადვილად შეუძლიან დამნაშავეს ღირსეულად გაუსწორდეს. უმოქმედობა უფროსებისა სამარეს უთხრის სამხედრო სამსახურს. ხელს აწერს: საზღვაო მინისტრი, ვიცე-ადმირალი ბირილევი.

მინსკი, 3 აგვისტო. მინსკის სამაზრო კრების გადაწყვეტილება ტელეხანის და დუბოვის ვოლოსტების 250 გლეხის საქმის შესახებ საგუბერნიო მმართველობამ განასაჩივრა. ამ გლეხებს მემამულის პუსლოვსკის და სხვათა საძოვარზე თავის ნებით საქონლის შერეკა ჰბრალდებოდათ.

სუჯა. სოფელ დარჩინში 97 შენობა დაიწვა.

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტრომ გადასწყვიტა იმ თავისუფალ მეომართ, რომლებიც სამსახურში გაწვეულ იქმნებიან, ჯამაგირები დაენიშნოს. ესევე წესი ეხება საერობო და საქალაქო დაწესებულებათა მიერ დაქირავებულ მსახურთ.

ბალაშოვი. სარატოვის გუბერნატორმა შემდეგი განცხადება გამოსცა: „ბალაშევის მაზრაში ერობის ექიმებმა, 20 ივლისს, ერთბაში სამსახურს თავი დაანებეს, მათთან ერთად რამდენიმე ფელშერმაც მიატოვა სამსახური. თუმცა სათადარიგოდ ჩარიცხული ექიმები სულ შორეულ აღმოსავლეთში გაიგზავნა და მეტად ძნელია ექიმების შოვნა, მაგრამ ყოველივე ზომებია მიღებული, რომ მაზრა უექიმოდ არ დარჩეს, ყველა თანამდებობის კაცს, რომელიც კმაყოფილი არ არის არსებულ პირობებით, ნება აქვს სამსახური მიატოვოს, მაგრამ საექიმო დებულებათა მე-81-92 და 106 მუხლის ძალით, მოვალეა საჭიროებისამებრ მიჰხედოს ავადმყოფებს, ზემოხსენებული ექიმები, თუ კი ამ მაზრაშივე დარჩებიან, კანონის ძალით მოვალენი არიან ავადმყოფებს მოუარონ ხოლმე. ვინც მათგანი უარს განაცხადებს, კერძო პირთა საჩივარით პასუხის გებაში მიიცემა და დებულებათა 872 და 873 მუხ. დაისჯება“. განცხადების ბოლოში გუბერნატორი ანუგეშებს ხალხს, წყნარად მოიქეცით და დროებით უექიმობას ნუ შეიმჩნევთო.

რიგა. პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტში, ვაკანსიის უქონლობისა გამო, მიღება შეამცირეს. იღებენ მხოლოდ იმათ, ვისაც უკონკურსოდ შესვლის უფლება აქვს. სწავლის დაწყების მსურველთა რიცხვი მატულობს. ლექციები სექტემბერში დაიწყობა.

კრონშტადტი. გუშინ საიგონიდან, გერმანულ დროშით, მოვიდა გემი „ჟულეტა“. ეს მესამე გემია, რომელმაც რუსეთის ტვირთი მოიტანა და იაპონელებს ხელიდან გაუსხლტა.

პერმი, კოლჩედანის ვოლოსტმა (კამიშლოვის მაზრაშია) დაადგინა: რადგან იმედი გვაქვს, რომ სამარცხვინო ზავს არ ჩამოაგდებენ, ფლოტის განსაახლებლად 500 მანეთი შევწიროთო.

კანეა, 4 აგვისტო. სოფელ ატსიკროპულოში რუსებსა და ინსურგენტებს შორის დიდი შეტაკება მოხდა. ინსურგენტებმა უკან დაიხიეს. რუსებს ხუთი კაცი მოუკლეს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 აგვისტო.

პორტსმუტი, 3 აგვისტო. „ტაიმს“-ი. გუშინდელს სხდომაზე მანჯურიის რკინის გზებზე მოლაპარაკების დროს, ბევრი საშიში დაბრკოლება აღმოჩნდა. თუმცა საწინააღმდეგო ბევრი არაფერი იყო, მაგრამ ორივე მხარე მაინც ძალიან გაჯიუტდა. რუსეთის რწმუნებულები ამბობენ: სახალინის დათმობაზე ვერასოდეს ვერ დავთანხმდებითო.

პორტსმუტი, 3 აგვისტო. ნაშუადღევის სხდომა ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის საკითხის განხილვას მოუნდა. რწმუნებულნი შეთანხმდნენ. მე-7 მუხლის განხილვის შემდეგ, მე-8 მუხლის განხილვას შეუდგნენ. ეს მუხლი შეეხება მანჯურიის რკინის გზის სადგურ „მანჯურიიდან“—„პოგრანიჩნაიამდე“. სადაც ის უსურის რკინის გზას უერთდება. ამ მუხლზე რწმუნებულნი ძალიან მალე და ადვილად შეთანხმდნენ. სხდომიდან წასვლის დროს ვიტტემ განაცხადა, ხვალ კიდევ ორს მუხლზე შევთანხმდებითო. სატომ ოფიციალურად განაცხადა: მე-7 მუხლის შესახებ სრული თანხმობააო. მე 8-ე მუხლის ძალით ხარბინ-ვლადივოსტოკის რკინის გზის ნაწილი რუსეთის მფლობელობაში რჩება.

ტოკიო, 4 აგვისტო. ვლადივოსტოკში მოსაგერებელი მუშაობა დაამთავრეს. მანჯურიის არმიას სურსათს რუსეთიდან აწვდიან, რადგანაც ნაპირებთან იაპონელების გემები სდგანან და კონტრაბანდის შეტანას ძალიან ხელს უშლიან.

გოძიადანი, იაპონიის ორი ნაღმოსანი 3 აგვისტოს, მთელის დღის განმავლობაში, ლაზარევის სიმაგრეს ზარბაზნებს ესროდა, მაგრამ ჯარის გადმოსხმა კი ვერ მოახერხა. ნაღმოსნები გაბრუნდნენ უკან და დაურეს კონცხთან გამოჩნდნენ..

ლინევიჩმა განკარგულება მოახდინა, რომ გამუდმებული ალლუმები გამართონ და ახალი ჯარისკაცები გაწვრთნან. ყველა ჯარებში სამხედრო ვარჯიშობაა, მიუხედავად იმისა, თუ რითი დაბოლოვდება საზავო მოლაპარაკება.

სიტიაზა. იაპონელები ხუანძიანის ველზე ენერგიულად მოქმედებენ და დაფანგოუზის უღელტეხილისკენ რუსეთის ჯარის მდებარეობას ჰზვერავენ. ხუნხუზები ჩვენს მარცხენა ფრთეზე მეტად თამამად თარეშობენ, ჩვენს საყარაულოებს თავს ესხმიან, ღამის შიკრიკ მზვერავებსა და პატარა რაზმებს არ ასვენებენ.

ბერლინი. გაზეთები, რომლებიც საიდუმლო ცნობებს ამჟღავნებენ, იუწყებიან: შორეულ აღმოსავლეთის საქმეში დაინტერესებული სახელმწიფოები თხოულობენ, რომ პორტსმუტის თათბირობის შინაარსი, თავ-თავის დროზე, მათაც ეუწყოთ ხოლმე. დიპლომატიურს წრეებში ლაპარაკობენ, რომ სახელმწიფოების განზრახვა აქვთ გავლენა იქონიონ და ზავის ჩამოგდება მოითხოვონო.

პორტსმუტი. რწმუნებულთა თათბირი დილის 9 საათსა და 50 წუთს დაიწყო. ახლა მე-9 მუხლს განიხილავენ. არც ერთი მხარე არ ფიქრობს დათმობას, ორთავე მხარე მტკიცედ იცავს თავის აზრსა.

პორტსმუტი. რწმუნებულნი მე-7 და მე-8 მუხლებში შეთანხმდნენ. ეს მუხლები ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის გამგეობასა და კონტროლს ეხება. პორტსმუტიდან ხარბინამდე, 10 მილის მანძილზე, გზის კონტროლი იაპონელების ხელში გადადის. ხარბინიდან ვლადივოსტოკამდე გზის კონტროლი რუსეთის ხელში იქნება. გუშინ საღამოთი ვიტტემ სთქვა: „ხვალ, ოთხშაბათს, დატყვევებულ გემებისა და საომარ ხარჯის ანაზღაურებაზე ვითათბირებთო“. ამ დღეს ორივე მხარე ერთი-მეორის წინააღმდეგ წავაო. „ნიუ-იორკ ტრიბუნის“ საგანგებო კორესპონდენტი იუწყება: გუშინ რუსებმა ზოგიერთაში იაპონელებს დაუთმეს და ამით თავიდან აიცილეს კრიზისი. ახლა საქმე გამოკეთდა. ხმა დადის, რომ იაპონია, ბოლოს და ბოლოს, დათმობის პოლიტიკას დაადგებაო. ვიტტემ „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის წარმომადგენელს უთხრა: „თათბირობის დროს, 7 მუხლისა და 8 პარაგრაფის განხილვისას, სულ ვუთმობდი. რუსეთის არც ერთი სახელმწიფო მოღვაწე ვერ გაბედავდა მოეხდინა ის, რაც მე მოვახდინე და თავს ვიდეო“.

ნიუ-იორკი. „ტრიბუნა“ გადმოგვცემს: ხმები დადის, კომურამ ბრძანება მიიღო, რაც უნდა იყოს, ზავი ჩამოაგდეო, რადგან ვიტტეს ინსტრუქცია აქვს, სამშაბათს, 9 აგვისტოს, რუსეთში დაბრუნდესო. „უორლდ“-ი, რომელიც მეტად ოპტიმისტურად უცქეროდა საქმეს, ახლა იმ აზრისაა, რომ კონფერენცია მიზანს ვერ მიაღწევს და ომი გაგრძელდებაო. პორტსმუტიდან მოსულ ყველა ცნობებს უიმედობა ეტყობა. ხმა დადის, რომ ვიტტე შეიძლება წავიდესო.

მოჯი. რუსეთის უმთავრესი ძალა კორეიაში, რიცხვით 20 ათასი კაცი, ხეჩიონგას მახლობლად დაბანაკებული, სადაც სიმაგრეებია აგებული. რუსები დღე-დღეზე ელიან იაპონელების იერიშს, რომლის დაგვიანებაც აღარ შეიძლებაო. ამბობენ, რუსების სიმაგრეებს ერთს წელიწადზე ადრე ვერ აიღებენო. ჩრდილო ფრთეებიდან დაბრუნებული ოფიცრები ამბობენ, რომ ვლადივოსტოკის გამაგრება დაასრულეს და, ვგონებთ, ჩინებულადაცაო. ამ სიმაგრეს აუარებელი მაშველი ჯარი გაუგზავნეს.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ზე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონიის საზავო პირობები. „ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან იუწყება: ტოკიოდან მოსულ ცნობებიდან ნათლად სჩანს, რომ იაპონიის ერსა და მთავრობას ზავის ჩამოგდება არა სწამს. იაპონელები აცხადებენ; ახლავე უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით და რუსეთი ისეთ დღეში ჩავაგდოთ, რომ სამაგიეროს გადახდა აზრადაც არ მოუვიდესო. აი, იაპონიის პირობებიც:

1) პორტ-არტური, ლიაოდუნი და რუსეთის ყველა უფლება, კონცესიები მანჯურიაში იაპონიას უნდა დაეთმოს.

2) მანჯურიაში ვაჭრობის უფლება ყველა ეროვნებაას უნდა ჰქონდეს; ამ ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩაებარება იაპონიას იმ დრომდე, სანამ სრული მშვიდობიანობა და წესიერება დამყარდებოდეს.

3) რუსეთის ის გემები, რომელნიც სანეიტრალო სახელმწიფოს ნავთსადგურებში იმყოფებიან, იაპონიას უნდა გადაეცეს.

4) აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა იაპონიის სახელმწიფოს საკუთრებად უნდა გახდეს.

5) სახალინი იაპონიას დაეთმობა.

6) პეკინის ხელშეკრულობით ამურის ოლქის ნაწილი რუსეთს დაეთმო. ეს ნაწილი რუსეთმა უნდა გადასცეს იაპონიას.

7) მდინარე ამური და მისი შესართავი სანეიტრალო იქნება და ამ მდინარეში შესვლის ნება ყველა სამხედრო გემს ექნება.

ფელეტონი

მუზა და მუშა.

ერთია მხოლოდ იმისი ფიქრი,
ერთია მისი გულის დონება,
შავი აჩრდილი უდგა მას თვალწინ,
მას შეუპყრია მისი გონება!
იგი არ არის მხოლოდ ოცნება,
მწარე ქვითინი სატრფოს უარზე,
არ არის იგი გალაღებული
სულის კვეთება ველად, მთა-ბარზე!
არა, ამისთვის არა სცალიან,
ღმერთებს დაუთმო მან სიყვარული,
სხვა აჩრდილს ხედავს იმისი თვალი
და სხვა გვარათ სცემს იმისი გული!

—

და, დედამიწის ნებიერებმა
იღოცონ მხოლოდ ნაზი ამური,
იმას შესწირონ ბედნიერება,
წმინდა ნექტარი, სუნელ-საკმური!
არა, მას თვალწინ სულ სხვა აჩრდილი
უდგა ლუხჭირი,—თვისი ცხოვრება,
და მწარე არი, ვით თვითონ იგი
მისი ფიქრი და მისი გონება!
უდგას თვალწინა და ზედ კითხულობს:
„მუშავ, მონა ხარ შენი ოფლისა
და სათამაშო გასართობელი,
მიწის მასხარა, მასხარა ცისა!
შენ კაცი გქვიან, მაგრამ სად გაქვს
ადამიანის წმინდა უფლება,
შეხედე შენს მკერდს, რა უცხო ოფლი,
რისთვის და ვისთვის იგი იღვრება!?
აშენებ დარბაზს, სახლი არა გაქვს,
ებრძვი მიწასა, კვდები მშიერი,
ვისთვის მუშაობს ეგ შენი მკლავი
და რისთვისა სცემს მკერდი ძლიერი?
შეხედე ქალაქს, შეხედე სოფელს,
შენ გააკეთე ეს ქანდაკება,
მას შენი ოფლის ბეჭედი აზის,
მას შენი სული თავზე ევლება!
მაგრამ ვისია? გაქვს შენ იქ წილი?!
სად გაქვს ბინა, ცხოვრების კერა?
და მაშინაც კი ცრემლები მოგდის,
როს სევდიანათ გსურს დაიმღერო!
არ გესმის ტაში იმ დარბაზიდან,
ტკბილი მუსიკა, სიცილ-ხარხარი?
ბედნიერები დღეს მეჯლისობენ
და მათთვის უკრავს იქ ოქროს ზარი!
მაგრამ იკითხე: ვინ გამოჭედა
ეს ოქრო-ვერცხლი,—და გიპასუხებს:
შენი ნაღველი, შენი სიმწარე
იმათ სიცილთან გადმოიქუხებს!
ადგილი არ გაქვს შენ ამ მეჯლისში,—
ამოეფარე ნესტიან სარდაფს,
ვიდრე შიმშილი შრომის ბაზარზე
არ გაგიძახებს, არ დაჰკრავს დაფდაფს!
იქ შეებმები კვალად უღელში,
მხოლოდ ლუკმისთვის დასჭიმავ ძარღვებს,
მოკვდები ასე, ვიდრე მკერდის ქვეშ
ტანჯული გული სცემს და ფართხალებს!
შენს ადგილს შენი შვილი დაიჭერს,
იცნობს ცხოვრების გზაზე შენს კვალსა,
შეკრთება, მაგრამ გასჭიმავს უღელს,
ვიდრე მოსპობის შენთან საფლავს!“

—

ამას ებნება აჩრდილი მუშას...
ყურს უგდებს, თავი ხელს დაუყრდნია,
ყურს უგდებს ჩუმათ ცხოვრების ჩურჩულს,
მისი ბრჭყალები გამოუცდია!

—

დილაა... ღელავს შრომის ბაზარი,
სცემს ოქროს ტალღა, სცემს ოფლის ზვირთი,
იქ მონამ კვალად წახარა ქედი
და ზედ დაიდგა ცხოვრების ტვირთი!
დილის სხივებმა გაითამაშეს,
მათთვის ერთია მონა, ბატონი,
მათთვის ერთია იყო შენ ჭია,
თუ დიდებული მეფე-პატრონი!
აღმოსავლეთი წითლად ენთება,
ხარობს მიდამო, ხარობს ბუნება,—
ვინ გაუბედავს იმას მონობას,
და სხვის მონობა რა ენაღვლება!

—

ამ დროს სინათლემ მუშის სარდაფში
შემოაშუქა და აციმციმდა,
წინ სხვა სურათი გამოეჭიმა,
შეხედა მუშამ და გაუკვირდა!
ღმერთების სწორი სილამაზითა
ნაზია, როგორც თეთრი ღრუბელი,
მთლათ სიყვარული, მთლათ სიხარული,
ჩანგზე დაცურავს მთრთოლვარე ხელი!
და სამი კვნესის, სამი კანკალებს,
მის ხმაში მღერის, თრთის გაზაფხული,
ყურს უგდებს მუშა, მაგრამ მას სახე
ისევ ისეა დაღონებული!
„მე მუზა მქვიან,—უმღერის ჩანგი,—
და მოგიტანე სიმხიარულე,
მოდი შეგასვა მისი ნექტარი,
შენც შეიყვარე, იმხიარულე!“

—

მუშამ შეხედა, ასწია თავი,
გაუთამაშდა ღიმილი მწარე,
და ყრუ სარდაფის კედლების შორის
გაისმა მისი სიტყვა მქუხარე.

—

მ უ შ ა

მუზავ, რა გინდა შენ ამ ადგილას,
ღმერთების შვილო, აქ მუშასთანა
და სიყვარულიც ჩემს დასატანად
მითხარ, ცამ რისთვის გამოგატანა?
ბედნიერების გასართობელო,
შესამკობელო მათი სუფრისა,
გზა არევია მაგ შენს ტკბილს ჩანგსა,
მესტვირევ ოქროს დარბაზებისა!
წადი იქ, სადაც ტკბილი ნექტარი
კრთის სიყვარულის ფიალაშია,
ეკლის მაგიერ ვარდი ჰფენია,
წადი ღმერთებთან, წადი ცაშია!
ვერცხლის ქურუმებს უთხარ სიმღერა,
ჩანგს მოგირთამენ ოქროს სიმებით,
იქ მოგიხდება ჩანგების ჟღერა,
მსხვერპლიც სიყვარულს იქ შესწირევით!
მაგ შენს თვალებში სიცოცხლის ტალღა
სულ სხვაფერა სცემს, სხვარიგათ ღელავს,
სჩანს შენი ნაზი მკერდი ბროლისა
ჯერ მწარე ცრემლებს არ დაუფერავს!
შენი ტკბილი ხმა ისარი არი,
ჩემთვის შხამია ეგ სიყვარული,
მე სულ სხვა გვარათ, შენ სულ სხვა გვარათ
გვიცემს გრძნობა და გვიღელავს გული!
შენ გასჩენიხარ სამხიარულოთ,
მე, თითქოს, მხოლოდ სამგლოვიაროდ,
ვხედავ, არ გჯერა, მაშ მოდი, მომყე,
ცხოვრების ველი შემოვიაროთ!

მ უ ზ ა

ნუ მირისხდები, ბედთან გამწყრალო,
მე ყველასათვის ერთგვარათ ვმღერავ,
ცისა და ქვეყნის მოციქული ვარ,
ორთავ ერთგვარად ვმოსავ და ვფერავ!
განა შენ არ ხარ ადამიანი,
შენთვისაც არის ხომ სიყვარული,
შენც ხომ გაქვს გრძნობა, გიყვარს სიცოცხლე,
შენც ხომ გითრთოლავს მკერდის ქვეშ გული?!.

მ უ შ ა

ბალღი ყოფილხარ, შენ ჩემო მუზავ,
მაშ შენ არ იცნობ, ვხედავ, ცხოვრებას,
და ეგ ლამაზი შენი თვალები
მთლად დაუფარავს სიამოვნებას!
წამოდი ჩემთან, გაგაცნო ველი;
როგორც სჩანს, ჯერ შენ ის არ გინახავს,
თვით ბედნიერო, სხვაც ბედნიერად
ჭრელს ოცნებაში გამოგისახავს!

—

და წინ გაუძღვა მუშა მუზასა,
ქუჩის ტალღებმა ორივ შეხვია,
გრგვინავს ცხოვრება, კვნესის ვიღაცა..
ცრემლი ჩანგს მოხვდა და შეარხია!
ხელ გამოწვდილი ლუკმას თხოულობს,
გლახა, შიშველი, გლახა მშიერი,
სიკვდილი უკან დასდევს დავრდომილს,
მას დაუდგია თვისი კლდეფერი!
ის წაბარბაცდა, მეორე გლახამ
გადაუარა ზურგზე გულითა,
მუშამ ღიმილით ღმერთების სატრფოს
მწარეთ შეხედა და მიუთითა!
უყურებს მუზა გაკვირებული,
ვერ გამოეცნო მათხოვრის სახე,
ის ხომ არ იყო შეუყვარებული,
არ მოხვედროდა მას სატრფოს მახე!
არა, მას სულ სხვა ბეჭედი აზის,
თვალებ ჩამქრალი, სახეულ მიხრწნილი,
და მის სახეზე დაწერილიყო:
„მხოლოდ სიმშილი, მხოლოდ სიმშილი!“
„—როგორ?!—განცვიფრდა აქ ცის პეპელა,—
ადამიანი... ასე მშიერი!
მაშ, ვისთვის არის ცა და ქვეყანა,
უცხო სამყარო, პირმშვენიერი?“
ჩაფიქრდა მუზა და ჩანგს დახედა,
იქ ეხვის სამი გაჭიმულიყო
და ვარდის ყლორტის პატარა წვირა
გლახის ცრემლებით დანამულიყო!
წადგა ნაბიჯი, ქუჩაა შავი,
ფრთა გაუშლია თვითონ ჯოჯოხეთს,
ცივა, ჰქრის ქარი, ვაი და კვნესა
თვით უგულო ქვას შუა გადახეთქს.!
—უყურე, მუზავ, უყურე, დასტკბი,
ცხოვრების კვერი აქა ტრიალებს,
დაუგდე ყური!—ებნება მუშა,—
მწარე ნაღველი გადმოთქრიალებს!
არა ჰგავს განა ველს აყვავებულს,
და ხავერდოსან მთასა და ბარსა,
ბულბულის წკრიალს, ბედნიერებას...
შენი ჩანგიც ხომ მათ აძლევს ბანსა!
ცისა და მიწის წმინდა კავშირო,
შენ ჯოჯოხეთი გინახავს ცაში?
იქ ვერ ნახავდი, ის მიწაზეა,
ის არის მხოლოთ ჩვენს ცხოვრებაში!
ეს კვნესა, ვაი—უსახლ-უკარო,
ბოგანო ხალხის მწარე ჩანგია,
და მიტომ შენი ტკბილი სიმები
მათთვის ფუჭია, მეტი ბარგია!“
გაწითლდა მუზა, თავი დახარა,
დაჰკრა ნაოჭმა იმის სპეტაკ შუბლს.
ამდროს ვიღამაც გადიხარხარა,
თვისკენ ეძახდა იგი სიყვარულს!
იცნო მუზამა ეს ბედნიერი,
ბევრჯელ მის ჩანგმა მას მოულხინა,
ახსოვს დარბაზი, ოქრო და ვერცხლი,
ახსოვს მის სუფრა, მდიდარი ბინა!
ის ყიდულობდა სიყვარულს აქა,
ხან იცინოდა ხან ვნებით, თრთოდა,
მისი მსხვერპლი კი თვის უბიწობას
მწარე ცრემლებით ეთხოვებოდა!
უყურებს მუზა, როგორა სთელავს
ადამიანი წმინდა სიყვარულს,
იმის მკერდზედაც გადაუშლია
თვის ბაირაღი ოქროსა და ფულს!
ჩანგის სიმებმა ვერ მოითმინეს,
შეტოკდნენ მწარეთ ჩაიქვითინეს,
და გაყიდული გული და გრძნობა
ადამიანის მათ დაიტირეს!
მუშა გაუძღვა სტუმარს დაღრემილს,
მათ წინ აკლდამამ გააღო პირი:
გრგვინავს, ქუხილი მოისმოდა იქ,
თითქოს სატანამ დაჰკრა საყვირი!
ჩაუშვნენ ქვევით, სდუღდა გეჰია,
ათი ათასი იძროდა ხელი,
და ჭირის ოფლით იპკურებოდა
იმათ გარშემო ცხოვრების ველი!
ცეცხლი ვარვარებს, ტრიალებს ალი,
ადის და ჩადის მთა ბუმბერაზი,
აქ მონებისთვის შემოუვლიათ
ირგვლივ ბორკილის რგოლი და ხაზი!
იქავ ქურუმნი, ოქროს კერპები

ეროვნული

8) აღმოსავლეთ ციმბირის ოლქის ერთი ნაწილი სანეიტრალო გახდება და ამ ადგილზე ჯარის ჩაყენება და სიმაგრეების აშენება არავის შეუძლიან.

9) სამხედრო ხარჯს რუსეთი კისრულობს; რუსეთმა იაპონიას უნდა გადაუხადოს 4-6 მილიარდი მარკა (3 მილიარდ მანეთამდე).

როგორც დეპეშებიდან ვიცით, უმეტესი ნაწილი ამ მოთხოვნილებებისა მართალი აღმოჩნდა (რ.).

იაპონიის მთავრობის აზრი ზავის შესახებ. იაპონიის ოფიციალური გაზეთი „კოკუმონი“ სწერს: იაპონიის მთავრობას სავალდებულოდ მიაჩნია მოისმინოს რუსეთის საზავო პირობები. იაპონიისთვის ომი მიზანი არ არის და არც იქნება. ომი მხოლოდ იარაღია შორეულ აღმოსავლეთში მტკიცე, ხანგრძლივ მშვიდობიანობის დასამყარებლად და იაპონიის ეროვნულ ხელუხლებლობის დასაცველად. შეიძლება რუსეთსაც მშვიდობიანობის ჩამოგდება უნდოდეს, რადგან უცხოელებმა ძალა დაატანეს და ომის მოსპობა მოსთხოვეს, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ იაპონია მტკიცე და ხანგრძლივ მშვიდობიანობას მხოლოდ მაშინ მოიპოვებს, როცა ჩვენი ერი თავის სამართლიან მოთხოვნილებას ენერგიულად და მტკიცედ დაიცავს. ასეა თუ ისე, პირველი სამშვიდობო ნაბიჯი უკვე გადაიდგა და შეიძლება იგი სასიხარულოც აღმოჩნდეს (კ.).

ნიუ-გემპშაირის შტატის მოთხოვნა. ქალაქი პორტსმუტი, სადაც რუსეთისა და იაპონიის წარმოგენელნი შეიკრიბნენ ზავზე მოსალაპარაკებლად, ნიუ-გემპშაირის შტატს ეკუთვნის. ამ შტატის მთავრობამ თავის გუბერნატორის პირით ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს სთხოვა, ნება მოგვეცით ყველა ხარჯი, რომელიც რუსეთისა და იაპონიის წარმომადგენელთა მიღებასა და დახვედრას მოუნდა, ჩვენმა შტატმა იკისროსო. ამით შტატის მცხოვრებლებს უნდათ დაამტკიცონ, რა დიდ მნიშვნელობას აძლევენ ისინი მშვიდობიანობის ჩამოგდებას და რაოდენად უხარიანთ, რომ ასეთი უდიდესი მოვლენა იმათ ტერიტორიაზე ხდება. რუზველტმა ამის ნებართვა მისცა, მაგრამ იმ პირობებით კი, რომ შენობების აშენებაზე დახარჯული ფული ამერიკის საერთო ხაზინას გადახდება (კ.).

ვიტტე დემოკრატი გახდა. რუსეთის მთავარ რწმუნებულს განუწყვეტლივ თან დასდევს „მატენ“-ის კორესპონდენტი და ყოველ მის მოძრაობას გულმოდგინეთ თვალ-ყურს ადევნებს. ზემოხსენებული კორესპონდენტი სწერს: ხარი ხართან დააბი ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო. ვიტტესაც ასე მოუვიდა: ჩამოვიდა თუ არა დემოკრატიულ-ფედერატიულ შტატებში, დემოკრატიული ჩვეულებები და სიმარტივე შეითვისა. როცა ვიტტე ბოსტონში ჩავიდა, მივიდა იმ მემანქანესთან, რომელმაც ბოსტონში ჩამოიყვანა, ხელი ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა. მერე „კაჩეგარსაც“ უწვია, იმასაც ხელი ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა; შემდეგ მატარებლის ობერ-კონდუქტორს შეხვდა და „მეგობრულ სამსახურისთვის“ გადაჰკოცნა (?!). ასე მალე შეითვისა რუსეთის მანისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ და ფინანსთა მინისტრად ნამყოფმა ვიტტემ ამერიკელთა დემოკრატიული ყოფა-ცხოვრება (კას.).

ახალი ამბავი

ქიზიყის თერთმეტ საზოგადოების **წარმომადგენლებმა ნამესტნიკს შემდეგი თხოვნით მიმართეს:** 1) თანასწორად განაწილდეს ის სახელმწიფო მიწები, რომლებითაც ისინი სარგებლობენ, და აღინიშნოს ნამდვილი მიჯნები, ვინაიდან არის ისეთი საზოგადოებანი, რომლებიც თავისუფალ მიწებს იჯარითაც კი აძლევენ, არის ისეთებიც, რომლებსაც მიწა არც კი ჰყოფნის. 2) სახელმწიფო ხარჯი გაწერილ იქმნეს მიწის რაოდენობის დაგვარად, რადგანაც ხშირია ისეთი მაგალითი, რომ სოფლის საზოგადოება გაცილებით იმაზე მეტს იხდის, რამდენი მიწაც უჭირავს. 3) საქონლის და ქონების დასაცველად მიეცეთ იარაღი. ამ თხოვნისა გამო ნამესტნიკმა განკარგულება მოახდინა: 1) მიწების დასარიგებლად და გასამიჯნავად დაინიშნოს კომისია, 2) გამოირკვიოს საზოგადოებათა მიწის რაოდენობა და ხარჯიც იმის კვალობაზე შეეწყოს და 3) საქონელის და ქონების დასაცველად ქიზიყელებს იარაღი დაურიგდეთო.

✦ რადგან გორის მაზრის სოფელ ახალ ქალაქსა და ახლო-მახლო სოფლებში ძლიერ **გამწვავდა დამოკიდებულება გლეხთა და მემამულეთა შორის და ღალის საქმის გადაწყვეტა გაჭირდა,** 1 აგვისტოს, ნამესტნიკის განკარგულებით, ამ საქმის მოსაგვარებლად გაიგზავნა საგანგებო საქმეთა მოხელე ნამესტნიკთან თავ. პ. გრუზინსკი. მაგრამ, სანამ თავ. გრუზინსკი ჩავიდოდა, გლეხები და მემამულენი უკვე მორიგებულიყვნენ და საქმე მეხუთედზე გაეთავებინათ. თავადმა გრუზინსკიმ შუამდგომლობა აღძრა, სოფელში ჩაყენებული ჯარი, რომელსაც სოფელი ჰკვებავდა, ხაზინამვე შეინახოს (ც. ფ.).

✦ როგორც სოფ. ნიჩბისიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ, იქ ამ დღეებში ადგილობრივ **მემამულეთა და გლეხებს ჩხუბი მოსვლიათ.** რამდენიმე კაცი დაჭრილა.

✦ როგორც სოფ. ძალისიდან (დუშეთის მაზრა) გვატყობინებენ, **გლეხებსა და საერობო დარაჯთა შორის შეტაკება მომხდარა.** რამდენიმე კაცი მომკვდარა.

✦ ახლად დანიშნული საქართველოს ექსარხოსი ამ მოკლე ხანში აპირობს **სამღვდელოების მოწვევას და კრების გამართვას.** კრებაზე განხილულ იქნება ყველა ის საქმეები, რომლის შესახებაც სამღვდელოებამ მსჯელობა იქონია მაისის გასულს მომხდარ კრებაზე.

✦ **უწ. სინოდმა აცნობა საქართველოს ექზარხოსს,** თუ ვინიცობაა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დახურულ იქმნა, მასწავლებლებს ჯამაგირები იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების თანხიდან უნდა ეძლეოდეთ, ვიდრე ახალ ადგილებს არ მიიღებენო.

✦ თელავის მესამე საბლაღოჩინო ოლქის **მედავითნეებმა და დიაკვნებმა** ქართლ-კახეთის სამღვდელოების მიერ არჩეულ წარმომადგენლებს მიმართეს და სთხოვეს, რომ სამღვდელოებამ იზრუნოს მათის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. თხოვნაში მედავითნე დიაკვნები ასწერენ თავიანთ გაჭირებულ მდგომარეობას და თხოულობენ, შემოსავლიდან მიეცეთ მესამედი, მეოთხედის ნაცვლად.

✦ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ **მოსწერა თავის რწმუნებულს კავკასიაში:** გვაცნობეთ ხოლმე კავკასიის ამბები, ნამეტნავად ის ამბები, რომელსაც კავშირი აქვს ჩვენის უწყების დაწესებულებებთანაო. სამინისტრო სთხოვს აგრეთვე: თითოეულ მოხელის კამანდიროვკის დროს გაწეულ ხარჯის სრული ანგარიში წარმოგვიდგინეთ და კამანდიროვკებიც აუცილებელ საჭიროების დროს დანიშნეთ ხოლმე, რადგანაც მოხელეთა გზის ფულად ძალიან ბევრი იხარჯებაო.

✦ „ბაქოს მეორე საქალაქო სკოლის“ და „რუსულ-თათრულ სკოლის“ შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების დასაარსებლად წესდების დამტკიცება ნამესტნიკმა **ბაქოს გუბერნატორს დაავალა.**

✦ როგორც განჯიდან გვატყობინებენ, ასლანდუზის პოლკის ქვეითა ჯარის კაცი **იოსებ ტურადაშვილი სადღაც წასულა** და აღარ დაბრუნებულა. თან თოფიც წაუღია.

✦ დუშეთის ადმინისტრაციამ აცნობა საგუბერნიო გამგეობას, რომ მდინარე არაგვზე, წილკანის მახლობლად, **გალებული ხიდი წახდა** და მიმოსვლა შესწყდაო. ეს ხიდი 15 ათასი მანათი დაჯდა. მის ასაგებად ჭოპორტის სოფლის საზოგადოებას მთავრობამ კომლზე 5 მანათი გადაახდევინა.

✦ კვირას, 7 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე [illegible] საზოგადოების თეატრში, ვოგზალზე, დანიშნულია საქველ-მოქმედო რუსული წარმოდგენა. წარმოდგენის გამგეა ცნობილი არტისტი-დრამატურგი ზ. ბ. ოსტროვი. ითამაშებენ ოსტროვისავე პიესებს: „ანდერმას“, „მარია გროსს“ და „დატუსაღებულს“.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელეთა კრება სამკითხველოს და სამარხო კასის საქმეების გამო დანიშნულია 13 აგვისტოსათვის.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა ცისმა შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე: ჯარის-კაცთა ტფილისის ქუჩებზე **მორიგეობა მოისპოს,** ხოლო თუ საჭირო იქმნება, სამხედრო წესის ძალით, ჯარი პირდაპირ ყაზარმებიდან გამოიწვიოთ ხოლმეო.

✦ შამქ-ადა-მუსტაფა-ალი-ოღლი ვექილოვმა შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე თათრულ ენაზე ტფილისში ყოველ დღიურ გაზეთის გამოცემის შესახებ. **ნამესტნიკმა ეს შუამდგომლობა არ შეიწყნარა.**

✦ ტფილისის მაზრის სოფლებ წყნეთს, წავკისს და დიღმის საქონლის ჭირი გაჩენილა.

✦ სადგურ ავჭალაში, 4 აგვისტოს, ხიდ ქვეშ იპოვეს თავ-პირ ჩალეწილი უცნობ კაცის გვამი.

✦ უკვე შესდგა სომხურ დრამატიულ საზოგადოების დასი. წარმოდგენებს 1 ენკენისთვიდან დაიწყებენ საარტისტო საზოგადოებაში და კვირაში ორჯერ ითამაშებენ.

სადღეისო

მაგრამ...

(ერთი კაცის დღიურის მეშვიდე ფურცელი)

დღეს გადავწყვიტე აღარავის აღარ მივმართო დახმარებისათვის!..

დამცირებასა და მხოლოდ დამცირებასა ვგრძნობ ამ დროს, გულში სისხლი მექცევა, თავბრუ მესხმის, მუხლები მიკანკალებს, თუმცა მაინც ვიღრიჭები, ვცდილობ მხიარული სახე მივიღო, ვიოხუნჯო, თვალებში პირდაპირ ვუმზირო ჩემ დამხმარებელს, რომ ვაგრძნობინო: მეც ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც შენ, შეიძლება შენზე უფრო გულკეთილი, ლმობიერიც, **მაგრამ...**

ჩემმა დამხმარებელმაც კარგად იცის, რომ მე და იმის შორის აღიმართება ეს „მაგრამი“, იცის, რომ რამდენიმე წინადადების შემდეგ წავაწყდები ამ „მაგრამს“ და გულში ეცინება.

მე კი გული მიკვნესის, ვცდილობ „მაგრამამდის“ არ მივიყვანო საქმე და ერთის დაკვრით, ერთის გამოთქმით ვაგრძნობინო, რომ არ არის კარგი მეორე ადამიანის დამცირება!..

ვცდილობ მოვნახო ისეთი მკვეთრი სიტყვა, ისეთი წინადადება, რომ ჩემი გულისთქმა, ჩემი სულთა სწრაფვა ერთ იელანზე შევატყობინო, **მაგრამ...**

თითქოს განგებ ენა მებმის, სიტყვებს ვეღარ ვპოულობ, დამცირებას... მხოლოდ დამცირებასა ვგრძნობ!

ის კი ამაყად შემომცქერის თვალებში, უკმეხად, მედიდურად დოინჯი შემოუდგამს და სახის ისეთი გამომეტყველება მიუღია, რომ ამ სახეზე ნათლადა ვკითხულობ:

„იჭიკჭიკე, იმაყე, ჩემო კარგო, ცოტა კიდევ და ხელს გამომიშვერო“.

განა მათხოვარა ვარ?

არა! **მაგრამ...**

დიაღ, სწორედ ეს „მაგრამია“ ჩემი დამამცირებელი.

იმ დროს, როდესაც ბავშვი ვიყავ და უდარდელად, უზრუნველად ვცხოვრობდი, ასე მეგონა, ცხოვრება ფიანდაზია და ადამიანი კიდევ—ბატონი, პატრონი თავისი თავისა-მეთქი.

წამოვიზარდე. ამაყი ვიყავ, ვით მთის ნაკადული და თავმომწონე, ვით ფარშავანგი!

არავის ვერიდებოდი, არავის ვეპუებოდი...

— ნუ ამაყობ, შვილო! ცხოვრება ხუმრობა ნუ გგონია. შენზე ძლიერი ვინმე აღმოჩნდება და კისერს მოგიგრეხს, დაგამცირებსო!—მითხრა ერთხელ დედაჩემმა და ძველი, მამიჩემისეული, ტიბიკონი წამიკითხა.

— ვინ დამამცირებს, ვის შეუძლია დამამციროს ადამიანი, პირმშო ბუნებისა?!. მე **თავისუფალი ადამიანი** ვარ და თავისუფლადაც უნდა ვიცხოვრო მეთქი—შევუტიე დედაჩემს.

დედაჩემმა მწარედ გაიცინა და ნაღვლიანად მიპასუხა:—ცხოვრება, შვილო, ცხოვრებაო!..

— ცხოვრებას თვით კაცი ჰქმნის-მეთქი!—მკვახედ დავუყვირე და მოვშორდი.

დაზამთრდა. ბუნება გაიძარცვა, ხავერდის ქურქი გაუცვდა, დანაღვლიანდა, ტირილი დაიწყო. დედაც მომიკვდა. დავრჩი მარტოკა, ცივს, გაყინულ ოთახში. მომშივდა, მომწყურდა, გავღეჩდი... გულმა კვნესა დამიწყო, სულმა შფოთვა, სიმშილით სიკვდილი მომელოდა.

აი სწორედ აქ წავაწყდი იმ დაწყევლილ „მაგრამს“.

მართალია თავისუფალი ადამიანი ვარ, **მაგრამ** ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალია-მეთქი,—გავიფიქრე და მეზობლისას წავედი.

ჩემი მეზობელი შეძლებული კაცი იყო. რა გზით შეიძინა ქონება არ ვიცოდი. ვიცოდი მხოლოდ, მშვენივრად მოწყობილი სახლი თბილი ბუხარი და ბევრი სასმელ-საჭმელი ჰქონდა.

გარედ ცუდი ტაროსი იდგა. კარში ძაღლი არ გაიგდებოდა.

აკანკალებული შევედი მეზობლის დერეფანში და გაუბედავად კარები დავუკაკუნე.

— მეზობელმა კარები გამოაღო და მედიდურად მკითხა:

— რა გნებავთო?—ისეთის ორაზროვანის კილოთი იყო წარმოთქმული ეს სიტყვები, რომ მე მაშინათვე ვიგრძენ ჩემი უმწეობა, ჩემი **არა-თავისუფლება.**

— მცივა... მშიან... ჩვენ ხომ მეზობლები ვართ...

— ჰმ! ჩაიცინა მეზობელმა და მერე არა ჩვეულებრივის, არა ბუნებრივის კილოთი მითხრა.

— მოდი, შვილო, გათბი... გაძეხი... იმდენი საჭმელი გვრჩება, რომ ძაღლებსაც კი გადავუყრით ხოლმე...

ძაღლებს დამადარა! მაგრამ მაშინ ეს არა მწყენია. მოგიზგიზე ბუხარმა შემომაცინა და მეც მას მივაშურე.

მივუფიცხე ბუხარს გვერდები, გავლხვი, გავთბი, სისხლმა ტანში თავისუფლად მოძრაობა დაიწყო, აზრები მოვიკრიბე და...

პირველად ვიგრძენ ის დამცირება, რომელიც იმ თავიდან ამ თავამდე აღარ მომშორებია.

მეზობელი წარბ-შეკრული იჯდა მდიდრულ სავარძელში და ისე მათვალიერებდა, როგორც თქვენ თხუნელა, ან ზღარბი დაათვალიეროთ. ეტყობოდა, რომ იგი მაძღარი, მე მშიერს, ადამიანად არა მთვლიდა.

მისი დართულ-დაკაზმული და ლამაზად თმადავარცხნილი ბავშვებიც მერიდებოდნენ, ახლოს არ მეკარებოდნენ. მაგრამ ყველაზე ძალიან მაბრაზებდა მეზობლის ცოლი—მელანია. იგი მოკეცილი იჯდა ტახტზე, კალთაში ყურთუკის ბალიში ჩაედო, ხელში ქარვის კრიალოსანი დაეჭირა და რამდენ მარცვალსაც ჩააგდებდა, იმდონს შემომხედავდა ხოლმე. იგი მიყურებდა ისეთი არაადამიანურის თვალით, ისე გულგრილად, როგორც თქვენ უყუროთ ძაღლის ლეკვს, ან კატის კნუტს, რომელიც თქვენთან ეს არის ახლა მოუყვანიათ.

— ბიჭო! რას აპირობ ახლა... დედაც ხომ მოგიკვდა... არაფერი გაგაჩნია-რა... მუდამ ხომ სხვის კარად არ იქნები, შე უბედურო?!..—წამოიკნავლა მელანიამ და წარბებზე უდარდელად ხელი გადაისვა, კავები ჩამოისწორა.

— ბიჭოო!.. აი, პირველი სიტყვა, რომელმაც ჩემი დამცირება მაგრძნობინა. რითი ვიყავ ნაკლები მის დაყვითლებულ, განებივრებულ შვილებზე? **მაგრამ...** იგინი **მისი შვილები** იყვნენ და მე კი **სხვა, უცხო!..**

გავშრი მელანის შეკითხვაზე, გავიწურე.

ეს უტვინო და უგულო ადამიანები, დამცინოდნენ... მამცირებდნენ.

რათა, რისთვის?

იმიტომ რომ, თავის ცხვირის გარდა, ვეღარასა ხედავდნენ. პირად ცხოვრებას დაეხშო მათი გონება და კერძოობას დაედალა მათი გული.

ნაკვერჩხლებივით გადავყლაპე იმათგან გადმოგდებული ერთი ლუკმა პური და მოვშორდი სამუდამოდ...

მას შემდეგ ჩემი მეზობლები აღარ მინახავს, მგონი, დაიხოცნენ კიდეც, ან კი რაღაში მენახვებოდნენ, როდესაც მთელი ქვეყანა ამგვარებითა ყოფილა სავსე!

დავვაჟკაცდი. ჩავები ცხოვრებაში, დავიწყე მუშაობა, მაგრამ სიღარიბესა და დამცირებას მაინც ვერ მოვშორებივარ.

ღმერთო, როდის მოეღება ბოლო ამ უკუღმართ ცხოვრებას?!.

როდის?

მაშინ, როდესაც **შენ-ჩემობა** აღარ იქნება.

მაგრამ...

— ჩუ! ფეხის ხმა ისმის... ჩემი აღა, ჩემი ბატონი მოდის. გამიჯავრდება, დამიყვირებს,—დღიურს დამიხევს, გულის ნადებს შემიბღალავს, მას ფეხებზე ჰკიდია, თუ ცრემლით ვწერ ამ სტრიქონებს და გული ბოღმითა მაქვს სავსე...

ის ბატონი,—მე მონა, ის მდიდარი,—მე ღარიბი. იცის, რომ მიყვარს ცხოვრება და კისრზე მაჯდება!.. გრძნობს, რომ მხდალი ვარ, და ფეხებს მიბრაგუნებს...

მაგრამ...

ნუ თუ ყოველთვის უნდა ვიტანჯნოთ, ხალხნო?!...

ია ეკალაძე.

რუსეთი

იმ კომისიამ, რომელსაც მუშათა საკითხის გამოკვლევა და გადაწყვეტა აქვს მინდობილი, გადასწყვიტა შემოიღოს 10 **საათის სამუშაო დღე.** პოლონეთის მექარხნე-მეფაბრიკეებმა პრინციპიალურად თანხმობა განაცხადეს, მაგრამ მოსკოვისა და სხვა რაიონების მრეწველებმა უარი სთქვეს 10 საათის სამუშაო დღეზე და ის აზრი გამოსთქვეს, რომ სამუშაო დღის შემოკლება თანდათანობით უნდა მოხდესო. მოსკოველი მექარხნეები თავიანთ აზრს იმ მოსაზრებით ასაბუთებენ, ვითომ ათი საათის შემოღება სულ დასცემს რუსეთის მრეწველობას, რომელიც ვერავითარ კონკურენციას ვერ გაუწევს უცხოეთის მრეწველებს. ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ტიმირიაზევის აზრით, **8 საათის სამუშაო დღის შემოღება** რუსეთში შეუძლებელია, რადგან მთელი მრეწველობა მეორე დღესვე დაეცემა და მოისპობა. რაც შეეხება გაფიცვის უფლებას, სამინისტროს აზრით, თავიანთ ნებით **გაფიცვა შეიძლება,** ხოლო ძალდატანებით—ბოროტ მოქმედებაა. თუ მუშა სიტყვით, დარიგებით დაითანხმე და მუშაობაზე ხელი ააღებინე, პასუხის მგებელი არა ხართ, მაგრამ თუ ძალა იხმარე—მთავრობა საქმეში უნდა ჩაერიოს და მუშაობის გაგრძელების მსურველნი დაიცავს (რ. ს.).

✦ **„კომონისტური მანიფესტი** მარქსისა და ენგელსისა, რომელიც დღემდის აკრძალული ხილი იყო რუსეთის მკითხველისთვის, ამას წინად „მოლოტ“-მა გამოსცა. ეხლა ეს წიგნი გამოსცა აგრეთვე „ბურევესტნიკ“-მაც ბ. გ. პლეხანოვის ვრცელ წინასიტყვაობით (ბ.).

✦ ცხენოსან გვარდიის აფიცრად ნამყოფს, ტოლსტოის ცნობილ მიმდევარს ჩერტკოვს, რომელიც ამჟამად ინგლისში ცხოვრობს, მცირე ხნით **რუსეთში დაბრუნების უფლება მიეცა.** ჩერტკოვი რუსეთში ჩამოვიდა, რამდენიმე დღე ლევ ტოლსტოის სახლში გაატარა, მერე პეტერბურგის ინტელიგენციას ესტუმრა და ისევ ინგლისში დაბრუნდა (რ.).

✦ იაროსლავის გუბერნატორმა საერობო და საქალაქო დაწესებულებებს შემდეგი **ცირკულიარი** გაუგზავნა: „6 ივლისს მოსკოვში მთავრობის ნებადაურთველად რუსეთის საერობო და საქალაქო მოღვაწენი შეიკრიბნენ და დაადგინეს საერობო დაწესებულებათა და საერობო და საქალაქო მოღვაწეთა დახმარებით და საშუალებით ვრცელი, პოლიტიკური პროპაგანდა გასწიონ ქალაქებსა და სოფლებში. ამ აზრის განსახორციელებლად კრებამ გადასწყვიტა კრებები გამართოს, ფურცლები დაარიგოს და ყოველ ხერხს მიმართოს აგიტაციის მოსახდენად. ამის გამო მოვალე ვარ გაცნობოთ, რომ მოსკოვის კრებაც და მის მიერ შედგენილი ბიუროც კანონის გარეშე დგანან, რადგან თავის ნებით მიითვისეს ის უფლებანი, რომელიც მთავრობას ეკუთვნის და, მაშასადამე, უკანონო კრების დადგენილებისა და თხოვნების ასრულებაც უკანონო იქნება. ამიტომ გთხოვთ ამ ბიუროსი და კრების შეკითხვაც, დავალება და მოწერილობა არ შეასრულოთ და ყველაფერი, რაც კი ამ საქმეს შეეხება, მე შემატყობინოთ (კ.).

✦ სინდისის თავისუფლებას, როგორც მოსალოდნელიც იყო, ნამდვილი, რეალური **თავისუფლება** მოჰყვა: პოლონეთში,—უფრო კი ხოლმის მაზრაში—უნიატებმა ძალად-მაცხონე მართლმადიდებლობა აღარ ისურვეს და კათოლიკობას დაუბრუნდნენ. ამან რუსეთის ბიუროკრატია, ცოტა არ იყო, შეაშფოთა და დაალონა. როგორც ვიცით, ამის გამო შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც დაწვრილებით უნდა შეიმუშაოს სარწმუნოებრივ თავისუფლების წესდება-დებულება და მართლმადიდებელ ეკლესიას დაკარგული „პრესტიჟი“ აღუდგინოს. ამ კომისიის ერთი წევრი თავის მოხსენებაში სწერს: 17 მაისის უკაზის გამოცხადების შემდეგ დასავლეთ-რუსეთში მართლმადიდებლობა ცუდ დღეში ჩავარდა, რადგან მას არც საშვალება ჰქონდა და არც მოღვაწენი ჰყავდნენ; ამიტომ მართლმადიდებლობა ვერ შეებრძოლა პოლონიზმს, რომელიც უკანასკნელ დროს წმინდა პოლიტიკურ პროპაგანდად გადაიქცა. კომისიამ გადასწყვიტა, რაც შეიძლება დააჩქაროს ახალ დებულების შემუშავება. (რ.).

✦ ფინანსთა მინისტრმა საზღვარ გარედ გაგზავნა ვაჭრების დეპარტამენტის საქმის მწარმოებელი გრამოვი **მუშათა კავშირების შესასწავლად.** განზრახულია, რუსეთში მუშათა საკითხის გადაწყვეტას სარჩულად დაუდონ გერმანიაში არსებული კანონები მუშების შესახებ. რუსეთშიაც სწორედ ისეთ კანონებს შემოიღებენ, როგორიც არსებობს გერმანიაში მუშათა კავშირებისა და ფერეინების შესახებ. (კ.).

✦ მომავალი სახელმწიფოს რჩევა შესდგება 490—495 დეპუტატისგან, რომელნიც **ორ და სამკეც არჩევნებით** იქმნებიან არჩეულნი. ქალაქებში ორკეცი არჩევანი იქმნება, სოფლებში კი სამკეცი (კ.).

✦ **საერო განათლების სამინისტრო** უმაღლეს სასწავლებელთა რეფორმების მოხდენას მომავალ საერო წარმომადგენელთა დაუკითხავად აპირობს. სამინისტრო დარწმუნებულია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა 1—15 ენკენისთვეს დაიწყება და არავითარი გაფიცვა არ მოხდება (პ.)

✦ მოსკოვის მახლობლად მდებარე სადგურები მატარებლის მოსვლის დროს სავსეა გლეხებით, რომელნიც ახალ ჩამოსულებს ეხვევიან და გაზეთებს თხოულობენ. ეხლა ჩამოვა თუ არა მატარებელი, სადგურზე ვიღაც უცნობები ჩამოდიან და გლეხებს ასობით **ურიგებენ გაზეთებსა და სხვა ფურცლებს.** გლეხები გულმოდგინეთ კითხულობენ ყველაფერს და ისე შეეჩვივნენ გაზეთს, რომ უიმისოდ ველარ სძლებენ (რ.).

კორესპონდენცია

ბორჯომის ხიობა. რუსეთის სახელოვან მწერალს ა. ჩეხოვს, ერთ-ერთ თავის ხელოვნურ ნაწარმოებში, შემდეგი სცენა აქვს დასურათებული: აბანოში, ერთ უცნობ მექისეს მკვახე შელაპარაკება მოუვა ერთ მობანავესთან, რომელსაც გრძელი თმები აქვს დაყენებული. მექისეს იგი სოციალისტი, ხალხის ამჯანყებელი და, საზოგადოდ, „იდეების“ კაცი ჰგონია. მაგრამ, როცა აბანოში ბუღი გაიხნა, გაოცებულ მექისეს ადგილობრივი მთავარ-დიაკონი-კი შერჩა ხელში. მექისე მთავრის წინ პირქვე დაემხო და თვალ-ცრემლიანმა

დგანან ამაყათ, მათრახით ხელში,
მათ წინ განრთხმულა და იხრისება,
ადამიანთა ურიცხვი ღეში.
ვისაც აქვს ძალა, ის იქნევს მკლავსა,
ზოგი ტალღებში დასუსტებულა,
ბევრი მოღლილა, მთლათ მოქანცულა,
ზვირთისგან ნაპირს გადაგდებულა!
შეხუთულია ირგვლივ ჰაერი,
აქ იხარშება გრძნობა, გონება,—
ამასა ჰქვიან ქურუმ-კერპთა წინ
ქედის წახრა და მწარე ცხოვრება!
შეხედა მუზამ თვის თანამგზავრსა,
შეხედა მონებს: ერთია სახე!..
და ჯოჯოხეთიც იმათთვის მხოლოთ
საერთო არი,—ერთია მახე!
აღმოსავლეთი ვით იღებება,
ნუ თუ არ გინდა ჩანგი აუღერო?...
ათასი გულიც მას ეგებება!
შეუსმატკბილე მათ შენი ჰანგი,
იყავი გმირი იმათთან ერთად,
და, ქარიშხალმა ძირს დასცეს კერპი,
ადამიანი გადიქცეს ღმერთად!
ეს ოფლიანი ათასი მკერდი,
მოქანცი მკლავი ოფლში, შრომაში,
მათი ნუგეში, მათი იმედი
ჰპოვებს, რაც უნდა მხოლოდ ბრძოლაში!..
ჩუ! აგერ სხივმაც შეითამაშა
და მონამ მაღლა ასწია ქედი,
ბრძოლის ხმამ დაჰკრა, დაიგანგაშა
რომ გამოსწყვიტოს მან თვისი ბედი!
შეხედე დროშას განთიადისას,
წითლად შეღებილს, ამაყს, მშვენიერს,
ირთიან ღმერთები, ირთიან კერპები
და თავს უხრიან მას სიძლიერეს!
წავალ მე ჩემთვის... რისთვის? ან ვისთვის?...
ახლა მჯერა რომ ვარ მეტი ბარგი
და ზღვისა ტალღებს შეუერთდება
გადაგდებული ეს ჩემი ჩანგი!

მუშა.

შესდექი, მუზავ, შენ აქაც სცდები,
ზღვა არ დამარხავს შენს ჩანგის სიმებს!..
არა, შენ ჩვენთან დარჩი, იქნები.
ჩვენი ცხოვრება გიძმობს, გიშვილებს!
სიმხდალე არი განდეგილობა,
და მონასტერი საფლავ-სამარე,
როგორ გეყვარდეს აბა სიკვდილი,
ოდეს სიცოცხლე ვერ შეიყვარე!
ჩამოხსენ სიმა მაგ მშვენიერ ჩანგს,
ღმერთებს გადუგდე გასართობლად,
ჩვენი ცხოვრება სულ სხვას გაბავს,
და ხმა მქუხარე გაისმის ქვეყნად!
აბა შეხედე, პირმშვენიერო:
წვიმამ ჩამოჰკრა ჩანგის სიმებსა,
მაგრამ სულ სხვაა ახლა მისი ხმა,
ჰანგი ჰაერში ჰფანტავს ცრემლებსა...
ისმის გოდება და მწარე მოთქმა!
ქვითინებს მუზა: „მაშ ამაოა
ცა, დედამიწა, მთელი სამყარო,
ამიერიდან იგი მძაგს.... მაგრამ
იმის მაგიერ რა შევიყვარო!
რისთვის და ვისთვის ვცემდი სიმებსა,
ოდეს სიცოცხლე ყოფილა კრული?!..
გაჰქრა, წავიდა... ტკბილი ოცნება
და ჩანგთან კვდება თვით სიყვარული!
წყეულიმც იყოს სიცრუე ცისა,
ამიერიდან მისი არ მჯერა,
არ მჯერა სიტყვა მე ღმერთებისა,
აყვავებული ცხოვრების კვრა!
აი, აქ არი, თვალმშვენიერო,
რასაც ოცნება მხოლოდ გიხატავს,
გააგდე ჩანგი იმის სხივებში
და მაშინ სიმიც სხვაგვარად დაჰკრავს!“

—

ათრთოლდა მუზა, რწმენა, იმედი
მას დაუბრუნდა, ათრთოლდა ჩანგი,
და ათიათას ხმას შეუერთა
მან საბრძოლველი თავისი ჰანგი!
მაღლა მიცურავს წითელი დროშა,
მონა ქედს იწევს, ზვირთი გუგუნებს,
ცა წაგრაგნილა, ცა მოღუშულა,
ძირს დაუხრიათ თავები ღმერთებს!..

—

ჟღერავს კვლავ ჩანგი, მუზა ამაყად
აკვნესებს ჰანგებს, ათრთოლებს სიმებს,
მისცურავს დროშა მაღლა თამამად
და განთიადიც მასთან იღვიძებს!..

ი. ევდოშვილი.

გულწრფელი შენდობა მოსთხოვა: „მაპატიეთ, მე უბედურს! საზიარებლად ვემზადები და საშინელი ცოდი კი დავწამეთ, რადგანაც თქვენ „ბუნტოვშიკად" მიგიღეთ, „იდეის კაცი მეგონეთო"...

ეს სურათი უნებლიედ მოგაგონდებათ, როცა თვალს გადაავლებთ აგარაკებში ბლომად გაბნეულ ჩვენ ახალგაზრდობას: მასწავლებელთ, მოსწავლეთ, დასელებს და სხ. უმეტესობა ჯან-ღონით სავსენი არიან და სამკურნალო არა სჭირთ-რა.

ლაპარაკზე რომ მიდგება საქმე, ცეცხლს ანთებენ და თავს „მარილად ამა ქვეყნისა" სახავენ; ამისთანა აბობოქრებულ დროს, როცა საქმე მიმდგარია თითქმის „ყოფნა, არ ყოფნაზე" და ყოველი შეგნებული მოღვაწე დიდ საჭიროებას შეადგენს,— ესენი გამოჰქცევიან ასპარეზს და ამ გვარად, ხოხობივით, თავები უხერხულად დაუმალავთ აგარაკების ბუჩქნარში... ვფიქრობთ, ამ ჯურ ახალ გაზრდათა წინაშე საზოგადოებამ ბოდიში უნდა მოიხადოს იმ ცოდის-წამებისთვის, რომ აგარაკებში, გაბნეული ეგრედ წოდებული ინტელიგენცია, იდეის ხალხი ჰგონებია...

პიკნიკები, სადილ-ვახშამი, ცეკვა-თამაში და დაუსრულებელი ბანქოობა, დილიდან საღამომდის და საღამოდან დილამდე, აი დაახლოვებით შინაარსი ბორჯომელ მოაგარაკეთა ცხოვრებისა.

მაგრამ ბორჯომის ცხოვრება ახლა მაინც ის აღარ არის, რაც იყო გასულ წლებში: თითქმის ორი მესამედი ბინებისა ცარიელებია. ამ გარემოებას მეტად დაუღონებია სახლის პატრონები...

ბორჯომის დაცემის მიზეზი მრავალია და მათ შორის უმთავრესი ისაა, რომ ბაკურიანში რკინის გზის შტოს გაყვანის შემდეგ, მრავალი აგარაკები აშენდა გზადაგზა მდებარე სოფლებში: ცაგიერში, დაბაში, ცემში, ბაკურიანში, ცხის ჯვარში და სხ. ხელ-მოკლე მოაგარაკენიც აქეთკენ ეტანებიან.

ბორჯომიდან ბაკურიანამდე მგზავრობის დროს ბუნებას ერთი მომხიბლავი სურათი სცვლის მეორეს. ტყუილად კი არ დაურქმევიათ ერთ სადგურისათვის очарованіе. ამ სადგურიდან $1^{1}/_{2}$ ვერსის მანძილზე, ერთ მეტად მშვენიერ და საღ ფიჭვნარ ჭალიდან კოხტად, გამოიყურებიან ხის შენობები ეს გახლავთ ბავშვთა საზაფხულო სამყოფი, ექიმ დამბაშიძისა, „პატარა-ცემი" ანუ, როგორც ადგილობრივ უძახიან „ქართველების კოლონია უდრან ტყეში". ბ. დამბაშიძე მეტად გულმოდგინედ და სიყვარულით ეკიდება თავის საქმეს, რაშიაც თავ-გამოდებით ხელს უწყობს მისივე მეუღლე—ფრანგის ქალი.

ბაკურიანი ბორჯომზე ბევრად მაღლობ მთაზეა გაშენებული, ასე რომ წელს ივნისში და ივლისის ნახევრამდისაც ტერმომეტრს $18^{0}/_{0}$ ზემოთ არ უჩვენებია.

ბაკურიანი ბორჯომივით ხასიანი არ არის და აქ ცხოვრებაც ბორჯომისაზე ბევრად იაფია. მართალია, ბაკურიანში არ არის რკინის წყლები, როგორც ბორჯომშია, მაგრამ სამაგიეროდ ბაკურიანზე 9 ვერსის მოშორებით, ცხის ჯვარში, ამოჩუხჩუხებს გოგირდის (რკინა ნარევი) სამკურნალო წყლები, რომელთა თვისებას თითქმის სასწაულ-მოქმედებას აწერენ: ქარებით დახუთულთავის უებარი წამალიაო.

ბორჯომის მამულში გაშენებულია რამდენიმე სოფელი, რომელთა მცხოვრებნი „ხიზნებად" იწოდებიან. ამ რამდენიმე წლის წინად მოინდომეს ამ ხიზნების აყრა და ბორჯომის მამულიდან გამოდევნა, მაგრამ აღარ მოხერხდა...

წრევანდელ „ერთობას" აქაური ხიზნებიც გამოხმაურებიან: სკოლები დაუკეტიათ და სხვათა შორის, გაუძევებიათ ერთი ტყის უფროსიც.

ამ ორიოდე კვირის წინად მამულის პატრონმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხაილოვიჩმა ბორჯომში დაიბარა ხიზნები და ზოგიერთი შეღავათი მისცა, მაგ. აპატია საწყავ მიწის ბაჟი (წინად კომლზე სამი მანათი ჰხდებოდათ), საძოვარი ადგილები უსასყიდლოდ დაუთმო (ამ მხრივაც წინად ძალიან შევიწროებულნი იყვნენ) სახლების ასაგებ მასალის ბაჟიდან ნახევარი აპატია და სხ. ხიზნები შედარებით კმაყოფილად გრძნობენ თავს, თამამად გამოიყურებიან და დიდი მადლობელნი არიან ახლად ჩამოვარდნილ „ერთობისა".

გ. ახალციხელი.

დ. ცხინვალი, 1 აგვისტო, 26-ს ივლისს აქ დაატუსაღეს ერთი მუშათაგანი. იმ წამსვე დუქნები დაიკეტა და მთელი ხალხი პოლიციას მიაწყდა და თხოულობდა ამხანაგის განთავისუფლებას. პირველად ბოქაული ცივ უარზე იდგა, მაგრამ ხალხმა, რომ მეორედ მედგარი თხოვნით მიმართა, ბოქაულმა დატუსაღებული გაანთავისუფლა.

ა. მაჩაბლის დაჭრის შემდეგ ორმოცი კაზაკ-რუსი ამოვიდა, მაგრამ მესამე დღეს, 1—3 აგვ., ოცი ისევ უკანვე დაბრუნდა. ა. მ-ლი თბილისის საავადმყოფოში წაიყვანეს. აქ ეტლი არავინ შეუბა. ნ. სულხანიშვილმა ტირძნისიდან გამოუგზავნა ფაიტონი და, ორი ჩაჩანი. აქედანაც ორი კაზაკი გაჰყვა და ისე გაამგზავრეს ქარელისაკენ...

3-ს აგვისტოს აქ მოვიდა შავი რაზმის შეიარაღებული წევრი. წითელ რაზმის ბიჭებმა იარაღი შეუსხეს და სახლისკენვე გაისტუმრეს.

აქამდე სამიკიტნოები კვირაობით თორმეტი საათის შემდეგ იღებოდა, ახლა მთელი დღე დაკეტილი აქვთ, მხოლოდ საჭმელების გაჭრობის ნება აქვთ, სასმელს ვერ გაჰყიდიან.

ქარ-ცეცხლი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა: კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთიის" მოხელენი და მოჯამაგირენი გაიფიცნენ და ბოიკოტი გამოუცხადეს საზოგადოებასა, ასე და ისე იყო ეს ამბავი და სხვ. იბეჭდებოდა ხშირად და ძალიან ხშირადვე დაბეჭდილი მართალი არ იყო, საქმის ნამდვილ ვითარებას არ ეთანხმებოდა,

საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ, სიმართლის აღსადგენადა და გაფიცვისა და ბოიკოტის მიზეზის გამოსარკვევად, ამ წერილს თქვენს პატივცემულს გაზეთში ადგილი დაუთმოთ.

გაფიცვის საბაბი შემდეგი გარემოება იყო. თიბათვის დამდეგს გამგეობამ ერთს მოხელეს სამსახურში საკმაოდ დიდი დანაშაული შეამჩნია და დაითხოვა სამსახურიდან. საზოგადოების კანტორის მოხელეებმა, სულ ხუთმა კაცმა, მოითხოვეს იმ კაცის დათხოვნის საქმე ჩვენ გადაგვაწყვეტინეთო; თან ისიც მოითხოვეს, ნება მოგვეცეს მონაწილეობა მივიღოთ ყოველ იმ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში, რომელიც ჩვენი შესახები იქნებაო; ახალ მოხელეს მიღებაცა და დათხოვნაც უჩვენოდ ნუ იქნება გადაწყვეტილიო.

გამგეობამ ურჩია მოხელეებს, რაკი მოთხოვნაზე მიდგა საქმე, ისეთი რამ მოითხოვეთ, რასაც საზოგადო ხასიათი აქვს, მოითხოვეთ, რომ უფლება გქონდეთ საზოგადოდ მონაწილეობა მიიღოთ ყოველ იმ საქმის გადაწყვეტაში, რომელიც თქვენი შესახები იქნებაო. რაიცა შეეხება უკვე დათხოვნილ კაცის საქმეს, მის განხილვასა და გადაწყვეტაზე ნუ აჩირდებით, რადგან იმ კაცის ბრალი ცხადია და, რაც გადაწყდა, იმის ხელ-მეორედ გადაშინჯვა მოუხერხებელიაო.

კანტორის მოხელეებმა არ შეიწყნარეს გამგეობის რჩევა და მათი მოთხოვნაც არ იქმნა დაკმაყოფილებული.

8 თიბათვეს მოხელენი გაიფიცნენ და თავი დაანებეს სამსახურს. მეორე დღეს იმათ მაგალითს მიბაძეს მოჯამაგირეებმაც, 35 კაცმა, რომელნიც ღვინის სარდაფში მუშაობდნენ. მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ გამგეობამ სრულიად უბრალო კაცი დაითხოვაო; ფიქრად აქვს კიდევ რამდენიმე მოხელეც დაითხოვოს, მოჯამაგირეთა შორისაც ბევრი უნდა გაისტუმროსო. დათხოვნილ მოხელეთა მაგივრად თავისი ნათესავები უნდა ჩააყენოსო, დაასახელეს კიდეც ორი ახალი მოხელე, მიღებული წასულთა მაგიერ და ის ორი მიაჩნდათ, რადაც მიზეზით, მმართველების წევრთა ნათესავებად. დათხოვნილ მოხელეების ნაცვლად ისეთი მუშები გინდათ იშოვოთ, რომელნიც ნაკლებს ჯამაგირს დაგჯერდებათო.

სხვა რამ მიზეზი გაფიცვისა და მუშაობაზე ხელის აღებისათვის არა ყოფილა-რა. ან კი რა უნდა ყოფილიყო? ჯამაგირი კარგი ჰქონდათ, დრო მუშაობისა ხანგრძლივი არ იყო, 1905 წლამდე $9^{1}/_{2}$ საათის მუშაობა იყო დაწესებული, ამ წლის დამდეგიდან—8 საათისა. სხვა უფლება და უპირატესობაცა ჰქონდათ და ბევრად **უკეთეს გარემოებაში იყვნენ**, ვიდრე სხვა სარდაფებში არიან მოჯამაგირენი. მაგალითად, ყოველ-წლივ შეეძლოთ წასვლა სოფელში რამდენიმე ხნით ჯამაგირის გამოურიცხველად, დილით ჩაისა ჰსვამდნენ საზოგადოების ხარჯითა და აბანოში წასვლის ფულიც ეძლეოდათ; საამხანაგო სამართალიცა ჰქონდათ დაწესებული და სხვ.

ვერც კანტორის მოხელენი და ნოქრები დაემდურებოდნენ თავიანთ ბედს. პირველთა **მუშაობის ხანგრძლიობა არ აღემატებოდა 6 საათს** დღე-ღამეში, ხოლო მეორენი საღამოს 8 საათზე უკვე თავისუფალნი იყვნენ, რადგან საზოგადოების მაღაზიები, დიდი ხანია, რაც საღამოს 8 საათზე იკეტება. ჯამაგირიც წელს ორჯელ მოემატა ყველას: ერთხელ გამგეობამ მოუმატა თავის სურვილითა, ხოლო მეორედ თვითონ მოითხოვეს აჯინებით მაშინ, როცა ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დამტკიცებული იყო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებისაგან.

რაღა ჩიჩინი უნდა, რომ ამ გაფიცვამ, მეტადრე სარდაფის მომუშავეთა წასვლამ, დიდ გაჭირვებაში ჩააგდო საზოგადოება, განსაკუთრებით სარდაფში; ღვინოს გამუდმებული და სათუთა მოვლა ეჭირვებოდა. გამგეობა ეცადა სხვა მუშები ეშოვნა, მაგრა ვერას გახდა: გაფიცულნი ემუქრებოდნენ, არ გაბედოთ მუშაობაო, და ისინიც ვედარა ჰბედავდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ გამგეობა იძულებული შეიქმნა, ჯარის კაცნი მოეწვია და იმათთვის დაევალებინა ზოგიერთა აუცილებელი და საშური საქმე.

მეტი გზა რომ აღარ იყო, გადავსწყვიტეთ, მოგვეწვია სამუშაოდ თვით წევრნი საზოგადოებისა, ხოლო გაფიცულნი სამსახურიდან დათხოვნილებად დავსახეთ. საზოგადოების წევრნი სიამოვნებით დაგვეთანხმნენ და უკვე მზად იყვნენ ჩამოსულიყვნენ კახეთიდან. მაგრამ ამ დროს გაფიცულმა მუშებმა შემოგვითვალეს, აღარ გვინდა მხარი მივცეთ კანტორის მოხელე ნოქრებს და მზადა ვართ დავუბრუნდეთ ჩვენს საქმეს წინანდელის პირობითო.

6 მკათათვეს ყველა მუშამ, ერთის გარდა, თავის საქმეს ისევ მოჰკიდა ხელი.

ვარ. წივწივაძე, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში მსახურობდა, სწერს „მოგზაურის" 25 №-ში. ვითომ ჩვენ დავპირდით მოჯამაგირე მუშებს, მიგიღებთ წინანდელის პირობითაო, მაგრამ მეორე დღესვე დარწმუნდნენ, რომ მოტყუებულნი დარჩნენ; გამგეობამ ჩამოართვა თითქოს **ყველა ის უფლება**, რომელიც წინად ჰქონდათო. მაგალითებრ, მუშებს ნება ჰქონდათ ამხანაგის გასამართლებისა, ეძლეოდათ საზოგადოების ხარჯით ჩაი-შაქარი, და ყოველივე ეს გაუქმებულ იქმნაო. აქ ერთი სიტყვაც არ არის მართალი. **არამც თუ „თითქმის ყველა უფლება" არ ჩამოგვირთმევია, არამედ არც ერთი არ მოგვიკლია.** მუშა-მოჯამაგირეებს დღესაც ეძლევათ ჩაი-შაქარი, დღესაც ნება აქვთ ამხანაგის გასამართლებისა. შემდეგ, ბ-ი წივწივაძე გვიამბობს, რომ ერთმა მუშა-მოჯამაგირეთაგანმა თავაზიანი პასუხი არ მისცა თ-დს ზ. გ. ქ-ს და ამისათვის, იმ თ-დის მოთხოვნით, მაშინვე იქმნა დათხოვნილიო. ეს ამბავი კი სწორედ ზღაპარსა ჰგავს: არავითარი უქმები სიტყვები არავის არ უთქვამს და ჩვენც სრულიად არავინ დაგვითხოვნია.

მაგრამ დაუბრუნდნენ თუ არა მუშა-მოჯამაგირენი თავიანთ საქმეს, საზოგადოებას ბოიკოტი გამოეცხადა. აი რა ბრალსა სდებდნენ საზოგადოებას იმ ქაღალდში, რომელიც ამის გამო იქმნა გამოცემული: „კახეთის" „განათლებული" გამგეობა უფრო და უფრო იფლება ტალახში. მან მიმართა ყოველნაირ ხერხს, მოტყუებას, დაპირებას გაფიცულთა შორის განხეთქილების ჩამოსაგდებათ და ერთი ნაწილის დასამორჩილებლად"... შემდეგ—„ვინც მუშაობაზე დაითანხმეს, არა თუ ახალი უფლებები მისცეს, ბევრი ძველიც წაართვეს და ასე მუშათა ერთობას ომი გამოუცხადეს".

გაფიცულ მოხელეთა მომხრენი დიდის მხნეობით უჭერენ მხარს ბოიკოტს: ალყა აქვს შემორტყმული საზოგადოებისთვის, ყოველ რესტორანების და სასტუმროების პატრონებს, საქეიფო ბაღების მოიჯარადრეებსა, სასმელების გამყიდველ მაღაზიებსა და დუქნებს,—ეუბნებიან არ გაბედოთ და საზოგადოების ღვინო არ გაჰყიდოთო; თან დასდევენ საზოგადოების ეტლებს, რომლითაც ღვინო დაგვაქვს, რომ ღვინო არ აიღოს იმან, ვინც უკვე დაიბარა. საცა სიტყვა ვერას აწყობს, მუქარა მზად არის. ასეთი ხერხი სჭრის, მუშტარი ფრთხება, აღარ იღებს ღვინოს და უარის საბუთად ამბობს, მერიდება ბოიკოტის კაცებისაო.

ბოიკოტის წინააღმდეგ არა ითქმის-რა, თუ იგი ხმარებულია, როგორც ღონისძიება დამნაშავე კაცთა თუ ფირმის დასასჯელად. მაგრამ ჯერ საჭიროა დამტკიცდეს იმისი დანაშაული, ვისაც ბოიკოტს უცხადებ. მართალია, ბოიკოტის გამომცხადებლებმა მძიმე ბრალი დასდეს საზოგადოებას, მაგრამ რითი დაამტკიცეს, რომ ეგ ბრალი მართლა მიუძღვის? მერე კიდევ, განა საკადრისია ყოველ ხერხისა და ღონისძიების ხმარება ბოიკოტის დროს? ვთხოვთ ბოიკოტის გამომცხადებელთ, ერთი მაგალითი მაინც დაგვისახელონ და დაამტკიცონ სიმართლე იმისა, ვითომ საზოგადოება ფეხ-ქვეშ სთელის მუშების უფლებებს, ატყუებს მოჯამაგირეებს და განხეთქილებას სთესავს მათს შორის.

საზოგადოების საქმეთა გამგენი, გაფიცვის დროს თავდაჭერით იქცეოდნენ, მოერიდნენ ყოველგვარ სასტიკს ღონისძიებას; მუშებთან საქმე კერძოდ არა დაიჭირეს-რა, ჯაშუშები და მზვერავები არა ჰყოლიათ მუშებ შორის, რაიცა თვით გაფიცულებმაც კარგად იციან. მუშა-მოჯამაგირენი მაშინ მიიღეს უკან, როცა თითონვე მოინდომეს, დაუბრუნეს ყოველივე უფლება და უპირატესობა, რომელიც წინადა ჰქონდათ და ჯამაგირიც სრულად მისცეს გაფიცვის დროს განმავლობაში.

აბა, სად არის აქ ფეხ-ქვეშ გათელვა ადამიანის უფლებისა, მოტყუება და სხვა ამ გვარი?

ცილის-წამება სად-ღა იყო?

იქნება ცილის-წამება ის არის, რომ ერთ-ერთი მოხელე დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან „კაი კაცობისათვის"?

რასაკვირველია, მუშა მოჯამაგირეთა უარი, მხარს ვერ დაუჭერთ ხუთს მოხელესაო, ძლიერ ეწყინებოდათ ამ ვაჟბატონებს, მაგრამ ტყუილად ჰგონებენ გაფიცულნი, ვითომც უარის მიზეზი ჩვენ ვიყვენით და არა თვითონვე.

ერთმა გარემოებამ უცბათ აუხილა თვალები მუშა-მოჯამაგირეებს და დაარწმუნა, რომ ვითომ უბრალოდ დათხოვნილი ყმაწვილი, რომელიც მათ თვალწინ შემოვიდა საზოგადოების სამსახურში, არაფრის მქონებლად, არც ისე უდანაშაულო იყო. დაარწმუნა იმ გარემოებამ, რომ, გავიდა თუ არა რამდენიმე დღე, იმ დათხოვნილმა თავისი საკუთარი ღვინის ვაჭრობა გააჩაღა. შემდეგ ისიც დაინახეს, რომ ახლად მოწვეულნი მოხელენი არც ნათესავნი იყვნენ და არც თვისნი და ტომნი. არც ის გამართლდა ბოლოს, ვითომ საზოგადოების გამგეობას აზრად ჰქონოდეს ამა თუ იმ მუშა-მოჯამაგირის დათხოვნა. ყოველივე ესე და აგრეთვე ის გარემოებაცა, რომ მუშა-მოჯაგირეებს არავითარი მიზეზი არა ჰქონდათ რა უკმაყოფილებისა და სამდურავისა, საკმაო იყო, რათა დარწმუნებულიყვნენ და ეფიქრნათ, თუ რა უსაბაბოთ შეებნენ მძიმე საქმეს გაფიცვისას. დარწმუნდნენ და გადასწყვიტეს კვლავ შესდგომოდნენ მუშაობას.

ახლა კი იმედი გვაქვს, მკითხველნი დაგვეთანხმებიან, რომ ის საშინელნი ბრალდებანი, რომელიც აღძრეს საზოგადოების წინააღმდეგ, არავითარს საბუთზედ არ არის დამყარებული.

მაშ რა ნებავთ ბოლოსა-და-ბოლოს ბოიკოტის გამომცხადებელთ?

თქვენს სამსახურში მყოფნიო,—ამბობენ ისინი,—კვლავ უნდა იქმნენ მიღებულნი და უნდა მიეცეთ ის უფლება, რომლის მოპოვებასაც სცდილობდნენო. საზოგადოდ ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ, რომ საზოგადოების მოხელენი მონაწილეობას იღებდნენ იმ საგნების განხილვაში და გადაწყვეტაში, რომელიც მათი შესახებია, აგრეთვე მათის მიღებისა და დათხოვნის საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი მოხელენი ასეთის უფლების შესაფერ მოქალაქეობასაც იჩენდნენ. რაიცა შეეხება იმ მოხელეთა კვლავ მიღებას სამსახურში, ამის განსჯა თვით მკითხველთათვის მიგვინდვია, და მან გადასწყვიტოს, შესაძლოა თუ არა ერთათ სამსახური გამგეობის, რომელიც „სიბინძურ ღონისძიებას არ ერიდება, ურცხვად ჰქელავს ფეხ-ქვეშ მუშა—მოჯამაგირეთა უფლებასა" და სხვ... და იმათი, რომელნიც, უნდა ვიფიქროთ, ყოვლად სპეტაკნი არიან და მაღალის ღირსებით დაჯილდოვებულნი?

ხოლო, თუ საზოგადოების მოხელენი უკანვე არ იქნებიან მიღებულნი სამსახურშიო,—განაგრძობენ ბოიკოტის გამომცხადებელნი, საზოგადოება უნდა დაიღუპოსო.

ახლა, რა ამბავია?! თუ ამ ხუთს მოხელეს უკანვე მიიღებთ, საზოგადოება ღირსი იქმნება, არამცთუ არსებობდეს, ჰყვავოდეს კიდევაც, თუ არა და, რაკი ისინი აღარ ეყოლება საზოგადოებას სამსახურში,—იგი ღირსი აღარ არის, არამც-თუ ჰყვავოდეს, არამედ ღირსიც-კი არ იქმნება, რომ არსებობდეს ქვეყანადაო.

მაგრამ „კახეთის საზოგადოების" ბედის გადაწყვეტა გაფიცულთა და ბოიკოტის გამომცხადებელთ ხელთ არ არის.

ეს საზოგადოება დაარსეს და მის საქმეებს წინ უძღვიან ვრცელის ღვინის წარმოების ბოდაზი მევენახენი, წოდებისა, კლასისა და ეროვნების განურჩევლად.

საზოგადოება ემსახურება არა მარტო თავადთა ინტერესებს, როგორც გვარწმუნებენ მებოიკოტეები, არამედ კახეთის ყველა ვენახების პატრონთა ინტერესებს, აგრეთვე იმათ ინტერესებს ვინც წმინდა კახურს ღვინოს ეტანება. ასეთი კოოპერაცია ძვირფასია მთლად ჩვენის ქვეყნისთვის. ამიტომ მისი არსებობა, მისი ბედი და მომავალი საინტერესოა მთლად საზოგადოების თვითეულ შეგნებულ წევრისათვის და ჩვენც სწორედ ამათ მსჯავრსა და განკითხვას მივმართავთ.

ამ ჩვენის დაწესებულების თერთმეტისწლის მოღვაწეობამ ყველას თვალწინ განვლო; ყველას შეუძლიან განსაჯოს, ღირსია იგი დაღუპვისა, თუ სასურველია შემდეგშიაც მისი არსებობა და აყვავება. ძალა საზოგადოების ხმასა და აზრსა აქვს. ბოიკოტი უძლურია, თუ ეს ხმა და აზრი მხარს არ უჭერს ბოიკოტს.

დეე, თვით მკითხველმა საზოგადოებამ გადასწყვიტოს, რამდენად სამართლიანია სურვილი და წადილი მებოიკოტეთა. თუ ეს ხმა ჩვენკენ იქმნება, ეჭვი არ არის მხარსაც დაგვიჭერს საზოგადოება და **ბოიკოტს გამოუცხადებს იმათ**, ვინც ლამის უსამართლო ბოიკოტით დასცეს ძირს „კახეთის მევენახეთა საზოგადოება".

კახეთის საზოგადოების გამგეობა.

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

5 აგვისტო.

პეტერბურგი. ვაჟთა გიმნაზიების რეფორმასთან ერთად სამინისტრო ქალთა გიმნაზიების რეფორმას აპირობს. სავალდებულო პედაგოგიური კლასსები შემოაქვთ. აპირობენ ქალთა საოსტატო სემინარიების დაარსებასაც.

გაზ. „სლოვო" გადმოგვცემს, სასულიერო უწყებაში არკვევენ საკითხს სასულიერო პირთა ჯამაგირების შესახებ.

გზათა სამინისტროში მეგემეების თხოვნა შევიდა მათ კრების მოწვევის შესახებ იმავე სახით, როგორც ნავთის მწარმოებელთა კრებები მოიწვევა ხოლმე.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

სიპიაჰა. ნანჩენძის მხრივ იაპონელების ერთი ბატალიონი ჩვენ მოწინავე რაზმს დაეცა, მაგრამ იძულებული შეიქმნა უკანვე დახეულიყო.

პორტსმუტი. ოფიციალურად იტყობინებიან, რუსეთ-იაპონიის წარმომადგენლები დილას მეცხრე პირობების მუხლს ითხოვდნენ, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ, თავიანთი უთანხმოება ოქმში შეიტანეს და შემდეგ მუხლის განხილვას შეუდგნენ. მეათე მუხლი ეხება სანეიტრალო ნავთსადგურებში გაჩერებულ გემების იაპონელებზე გადასაცემად, მეთერთმეტე—რუსეთის საზღვაო ძალის შემცირებას შორეულ აღმოსავლეთში, თორმეტი—იაპონელებზე თევზის დაჭერის უფლების გადაცემას ვლადივოსტოკიდან ბერინგის ზღვამდის.

ბერლინი. გაზ. „ანცეიგერი" იტყობინება, იაპონიის წარმომადგენლები საიდუმლოდ ინახავდნენ პორტსმუტში მოლაპარაკების პირობებს, ვინაიდან იაპონიის პირობები შეიძლება ნამეტანი სუსტი ეჩვენოს ზოგიერთ იაპონელს და ამან შეიძლება ხელი შეუშალოს მოლაპარაკებას. სატომ განაცხადა კორესპონდენტთან, მეხუთე მუხლის შესახები უთანხმოება არც ისეთია, რომ ხელი შეუშალოს ზავის საქმესო.

პორტსმუტი. ჰფიქრობენ, რომ რუსეთი გადასცემს სახალინს, თუმცა იაპონიას უფლება არ უნდა ჰქონდეს საომრად გამოიყენოს, კუნძულზე ორივე მხარეს თევზის დაჭერის უფლება ექმნებაო.—იაპონია კონტრიბუციაზე ალბად უარს იტყვის, ასი ათასი ტყვეს ხარჯებს მოითხოვს. რუსები აცხადებენ, სახალინს ჩვენთვის დიდი ფასი არა აქვსო, იაპონიისთვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ხანგრძლივი მშვიდობიანობა შეუძლებელია, თუ იაპონია დაიჭერს კუნძულს, რომელიც რუსეთის საზღვართან ისე ახლოა.

ტოკიო. ოიამამ შეატყობინა იაპონიის იმპერატორს, გენერლებს სურთ რუსების დამარცხება და მოითხოვენ, რომ ზავის პირობები იაპონიისთვის სასარგებლო იყოსო.

პეტერბურგი. ოფიციალური ხელმწიფის რესკრიპტი ფინანსების მინისტრისადმი; სახელმწიფო ხაზინის შესავსებად და იაპონიასთან ომის ხარჯების გასასტუმრებლად, საჭიროდ ვცანით ახალი შინაგანი სესხი გამოვცეთ სულ 200,000 მანეთისა ამ პროცენტით: 1) სესხს დაერქმევა 1905 წ. მეორე შინაგანი სესხი. 2) ბილეთები 100,200,500,1000, 5000 მანეთის იქმნება. 3) ფინანსთა მინისტრმა უნდა გადასწყვიტოს, რა პირობით შეიძლება ბილეთის ერთ კაცისაგან მეორეზე გადაცემა. 4) ბილეთებზე შემოსავალი $5^{0}/_{0}$, სარგებელი გაიცემა ყოველ წელს 1 მარტს და 1 ენკენისთვის კუპონებით. სარგებელი 1905 წლის 1 მარტიდან იანგარიშება. 5) სარგებელზე არავითარი გადასახადი არ არის. 6) კუპონს 10 წლის ვადა აქვს, თვით ბილეთებს ტირაჟის შემდეგ კიდევ 30 წლის ვადა. 7) სესხის გადასახდელად 48 წლის განმავლობაში უნდა გაიღოს ხოლმე სესხის 0.531.848 ნაწილი ყოველ-წლიურად 5 პროცენტით დამატებით. 8) ტირაჟი ყოველ წლიურად არის ნოემბერში, 1906 წლის ნოემბრიდან დაწყებული. 9) 1917 წლის 1 მარტამდის მეშვიდე მუხლში აღნიშნული თანხა ვერ გადიდდება, ამ დრომდის მთავრობას არა აქვს უფლება მოახდინოს ამ სესხის კონვერსია. 10) ობლიგაციებს ის უფლება-უპირატესობა ექმნება, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო გამოაცხადებს.

გროზნო. ყაჩაღებისაგან წაყვანილი მოგზაურები 22 დღის ტყვეობის შემდეგ დაბრუნდნენ. ისინი 2000 მანათად გამოიყიდეს. ამ უკანასკნელ ხანებში ყაჩაღებს მეტი გაბედულობა დაეტყოთ.

ნიუ იორკი. კანინგსტონიდან (ჩრდილო კაროლინაშია) მომავალი მატარებელი წყალში ჩავარდა. 160 კაცამდე დაიღუპა.

ცეტინიე.—ჩერნოგორიის მთავრობამ გადასწყვიტა პარლამენტის შემოღება, რომელიც სკუპჩინის სახელით დეკემბერში მოქმედებას დაიწყებს.

ქრისტიანია.—უნიის დარღვევის შესახებ კენჭის ყრაში დარღვევის მომხრე გამოდგა 3.680.200 ხმა, წინააღმდეგი კი 184. საგულისხმოა, რომ უკანასკნელ არჩევნების დროს მონაწილეობას იღებდა 236.641 ამომრჩეველი.

ვილნა. ისრაელ პერსინს, რომელსაც დვინსკის ბოქაულის კურლიანდსკის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა, ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—$1^{1}/_{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აგიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. გძელიშვილი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჭაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

იაფ ფასად იყიდება
მიწის ნაჭრები. ქ. ტფილისში ზომით თითო 100—100 მდე ოთხ-კუთხი საჟ. მიწებში პატარ-პატარა შენობებიც არის.
იკითხეთ შემდეგის ადრესით:
Г. Тифлисъ, 2 уч. Тхинвальскій пер; № 51,
кр. ЭВ. Джаджанова.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ იგი ნიშნავს
ორ პრემიას
200 მან. და 100 მან.
ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:
1, საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორგინალური, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი.
2. პიესა სამ მოქმედებიანზე ნაკლებ არ უნდა იყოს.
3. პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების" გამგეობის სახელობაზე, რაიმე დევიზის ზედ-წარწერით: პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქმნას დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.
შენიშვნა კონვერტს მხოლოდ მაშინ გახსნიან, როდესაც პიესა ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად.
4. პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა დანიშნულია არა უგვიანეს 1906 წ. პირველი იანვრისა
5. დრამტიულ საზოგადობის გამგეობას ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემით დაჯილდოვებულ პიესის სცენაზე წარმოდგენისა.
6. დაჯილდოვებულის პიესის ავტორს გონორარად მოეცემა თვითეულის წარმოდგენის მთელის შემოსავლის $5^{0}/_{0}$ პროცენტი.
7. შედეგი პიესიების კონკურსისა გაზეთებში იქმნება გამოცხადებული.

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი,** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.

(24—11)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 5 Августа 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5